საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

ხუთშაბათი, 1 ივლისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 146 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 146

F293 / 12999

Тбилисский Филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б) Библиотека

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

შაბათს, ივლისის 3-ს მუშტაიდის კლუბში

## გაიმართება

## ეგ ჩხიკვაძის საღამო

დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება. წმინდა შემოსავალი გადაეცემა გარდაცვალებულის ობლებისათვის.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

არკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, ოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინის-ოდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ლდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მე-ე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ მუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღ-შენით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ თავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზა-ებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარ- შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარ- ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენი-ბის მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სა-თლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათ-მქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (ნ. 15—12)

წლის 3 ივლისს დღის სამ საათზე ქ. ოზურგეთში პირველ საქალაქო სკოლის შენობაში დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის გურიის სამაზრო

## კომიტეტის საგანგებო სხდომა

ათ სასწრაფო და საჭირო საკითხის გამო, წევრთა დასწრება აუცილებელია. მიტეტის წევრებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე წერილობითი მოხსენება ად-ლობრივი მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე საწევრო და სამაისო ფულები.

## განცხადება

მიღება სამხედრო სკოლაში განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილე- [illegible] სკოლაში მიღებულნი იქნებიან ახალგაზრდები (საქართველოს ქვეშევრდომნი). წლოვანებით 17—25 წ.

შენიშვნა: ცოლიანები სკოლაში არ მიიღებიან. სწავლის კურსი 2 წლ. თხოვნა სამხედრო სკოლის უფროსის სახელზე უნდა შემოიტანონ და საჭირო დოკუმენტები. დაწვრილებით სკოლაში უნდა გაიგოთ.

(2113—1—1)

## შ. ს. მუშათა მაგიდის განცხადება.

ყველა მუშა და მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მო-რაგების ფონდით, მიიღებენ ამ წლის 1-ლ ივლისიდან: შაქარს, ჩაის და ასა-ნთს ამ ნორმით: სულზე 2 გირვანქა შაქარს 17 მანეთად გირ., ჩაი 1/4 გირვანქას ულზე 100 მ. გირ. და ასანათი 1 კოლოფი სულზე—1 მ. 50 კ. ცალი.

ზემოაღნიშნულ სურსათს მიიღებენ იმავე წესით, რა წესითაც იღებენ პურს ულ ჯგუფებით. ჯგუფების რწმუნებულნი ვალდებულნი არიან შეიტანონ ლი ჯგუფის ფული მუშათა მაგიდის სალაროში და ორდერის მიღების შემდეგ მართონ ოფიცერთა ეკონომიურ მთავარ მაღაზიაში კიროჩნის ქუჩაზე.

მუშათა მაგიდის სალარო ღიაა ამ ორდერების შესაძენათ ყოველ დღე 9—1 საათამდე, ხოლო საზოგადოების მაღაზია ღიაა დილის 8—2 საათამდე და საღა-მოს 5—7 საათამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს წინადადება ეძლევათ დაჩქარებით შეიტანონ ფული, რადგანაც სურსათის ძლევა შესწყდება 15 ივლისს.

**შრომის სამინისტრო.** (ნ.—5—2)

ექიმი

**აპოლონ სიმ.-ძე ხეჩინოვი**

ეს სენებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

## ბათუმის გარშემო

ოფიციალურად გამოცხადდა ბათომის მოცემა საქართველოს ხელში. საბ-თა რუსეთმა აღიარა ბათომი ჩვენათ. როპის გაბატონებულმა წრეებმაც ან-იში გაუწიეს ჩვენს სამართლიან თხოვნას. ბათომი ამიერიდან იური-ულათ უკვე გადმოვიდა საქართვე-ლოს ფარგლებში. საკითხი დგას მხო-ოდ ამ უფლების ტექნიკურად განხორ-ციელებაზე. ამრიგათ, სრულდება იმედი ქართველოს დემოკრატიის: ერთი ერის ერთ სახელმწიფოში გაერთიანების.

რომელნიმეთ ფართო კომპაქტიური მას- ქართველებისა ამიერიდან აღარ ება საქართველოს გარეშე. ერს მიე- საშუალება თავის კულტურული დის. ერის დემოკრატიას, მუშათა ასის მეთაურობით—მიეცა საშუალე- მთელი თავის მოქმედებითი ძალის მოჩენის, მთელი თავის რევოლიუციუ- ენერგიის დადებით სამუშაოზე გა-ყენების.

ერის სხეულის დაქუცმაცება იწვევდა მდე დაუკმაყოფილებელ წყურვილს ის გაერთიანებისას. შინაური მუშაო- ენერგია ამით მცირდებოდა.

დღეს პირველი საკითხი დამთავრე-ლია. მთლიანი ეროვნული სახელმწი-ის შექმნით მისი კულტურული განვი-არების საუკეთესო—შესაძლებელი პი-რობები მიღწეულია.

ბათომის შემოერთების დიდ კულტურულ მნიშვნელობას—როგორც საქართველოს საუკეთესო ბოლაზისას და ევროპის კარისას, ემატება ეს დიდი მნიშვნელობა ერის გამთელების. ტყუილათ კი არ იყო ბათომი აკვანი მუშათა მოძრაობის და ერთი პირველთაგანი—თფილისს შემდეგ რევოლიუციურ გამოსვლებში და რევოლიუციურ შემოქმედებაში.

და ეს ორი ცენტრი ჩვენი დემოკრატიის რევოლიუციური კულტურის—მუდამ ერთი მეორეს მხარი მხარ მისდევდა, ერთსა და იმავე გზით მიდიოდა. და დღეიდანაც, ორივე [illegible] კიდევ უფრო გაათკეცებული ენერგიით იმ აღთქმის ქვეყნისაკენ, რომლისკენ გზის გაკაფვას შეუდგა საქართველოს მუშათა კლასი ამ 20—30 წლის წინეთ. პირველ რევოლიუციონერთა პირველ წმინდა საფლავებს კვლავ ეწვევა გამარჯვებული მუშათა ბრძოლის ყიჟინა. უიარაღო მუშების სახით დააწყლულეს და დაასამარეს იქ პირველი მებრძოლნი—შეიარაღებული მუშათა გვარდიის სახით მოევლინება მათ წმინდა ნეშთის სავანეს გაძლიერებული და გაბატონებული დღეს მუშათა კლასი. დიახ, ბათომი—მეორე აკვანი ჩვენი კულტურის, ჩვენი რევოლიუციის, მთელი თავის მხრით, დღეს ჩვენთანაა. საქართველო გაერთიანდა—გაერთიანდა საქართველოს მუშათა კლასიც, და დემოკრატიის ბრძოლის უნარმა, ახალი ენერგია შეიძინა. დროული ბოლშევიკური მღვრიე ნაკადი, რომელიც დღემდე ამტუტებდა იქაურ არეს, კვლავ მარქსიზმის დიდებულ რევოლიუციურ ტაქტიკით და მუშათა ნამდვილ კლასობრივ ორგანიზაციებით შეიცვლება.

განთავისუფლებული ბათომი განთავისუფლებულ საქართველოში, განთავისუფლებული კერა რევოლიუციისა რევოლიუციურ დემოკრატიის წიაღში—აი რას ვულოცავთ ჩვენ საქართველოს მუშათა კლასს.

## პრესა

„კომუნისტი“ კოლონიალურ საკითხზე ალაპარაკდა. ალაპარაკდა თავისებურად. ის ებრძვის იმპერიალისტებს, აცხადებს მას კაპიტალისტური ქვეყნების სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად და მოუწოდებს მთელ მუშათა კლასს აქტიურად შეებრძოლოს ასეთ პოლიტიკას.

„კოლონიები წარმოადგენენ ნედლი მასალის წყაროს, რომლითაც სარგებლობენ კაპიტალისტური ქვეყნები და ქმნიან თავის ნაციონალურ სიმდიდრეს“. გვასწავლის „კომუნისტი“ (№ 11).

ეს მართალია, მარა თუ ეს დასაგმობია, რატომ იქცევიან ასე თვით კომუნისტები, რომლებიც იჭრებიან სპარსეთში, გააქვთ თუ რამ მოიპოვება იქ და ასე „ქმნიან თავის ნაციონალურ სიმდიდრეს“?

„კულტუროსანი“ ქვეყნები იმორჩილებენ მათ თოფ-ზარბაზნებით“ და ამგვარ პოლიტიკას ამართლებენ იმითი, რომ „ცივილიზაციამ უნდა დაიმორჩილოს ბარბაროსობა“-ო, შედეგი ასეთი პოლიტიკისა კი არის—„საშინელი ჩაგვრა-შევიწროება, რომელსაც განიცდიან ადგილობრივი „ბარბაროსი“ მკვიდრნი მოსულ—კულტუროსანთა“ უხეში ძალისაგან, რაც იწვევს მათ პირდაპირ ფიზიკურ ამოწყვეტას და გადაშენებას“-ო. (№ 11).

ყოველივე ეს რასაკვირველია მართალია. ყოველივე ეს დასაგმობია და მის წინაამდეგ უნდა იბრძოლოს მუშათა კლასმა. მარა მართალია ისიც, რომ ამ მებრძოლთა რაზმში ვერ იქნებიან კომუნისტები, რადგან თოფ-ზარბაზნებით ქვეყნების დამორჩილება, ბარბაროსობასთან ცივილიზაციის სახელით ბრძოლა, გაზიდვა მასალის და თავის ქვეყნის სიმდიდრის შექმნა, და როგორც შედეგი ასეთი პოლიტიკისა—ფიზიკური ამოწყვეტა და გადაშენება—ეს ხომ ის პოლიტიკაა, რომელსაც აწარმოებენ [illegible] ლითია ადერბეიჯანი, მთიულეთი, სპარსეთი და სხვა მრავალი პატარა ქვეყნები?

„კოლონიალური პოლიტიკის სრული მოსპობა და კოლონიების სრულიად განთავისუფლება უცხო „განათლებულთა“ შემავიწროებელ ოპეკისაგან—განაგრძობს „კომუნისტი“—გზას გაუხსნიდა თვით კოლონიებში ადგილობრივ საწარმოვო ძალთა საკუთარი გზით განვითარებას და მეორეს მხრით იმპერიალისტებს შესდევნიდა თავის უმთავრეს ბუნაგში და აშკარათ დაუპირდაპირებდა თავის მუშათა კლასს“.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „კომუნისტს“ ამ დასკვნებში და სწორეთ ამიტომ ვებრძვით მათ იმპერიალიზმს, მათი შემავიწროებელი ოპეკისაგან განთავისუფლებას და მით ვიცავთ საწარმოვო ძალთა საკუთარი გზით განვითარებას. და სანამ კომუნისტები არ დამდგარან ამ გზაზე, სანამ მათ ხელი არ აუღიათ სხვის შემავიწროებელ ოპეკაზე და მისი საშუალებით ადგილობრივ საწარმოვო ძალთა განადგურებაზე, მანამდის „კომუნისტს“ არავითარი მორალური უფლება არ აქვს ილაპარაკოს სხვის იმპერიალიზმზე და მისი სამღვთო ომის ქადაგება ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, ეს არის და იქნება ერთი იმ ფარისევლობათაგანი, რომელიც ასე ბლომათ მოიპოვება მათ მოქმედებაში გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ.

ჯერ თვით „კომუნისტი“ უნდა განთავისუფლდეს ამ ცოდვებისაგან, რომ შემდეგ ვინმემ ირწმუნოს მისი ამ თემაზე ქადაგება.

ასეთ პოლიტიკაზე ხელის აღება მართლაც „შედევნიდა თავის ბუნაგში და დაუპირდაპირდებოდა თავის მუშათა კლასს“ კომუნისტებს და მაშინ დაინახავდა მუშათა კლასი თუ ვინ არიან ისინი, ვინც მათი სახელით „თოფ-ზარბაზნებით იპყრობს პატარა ქვეყნებს“ და ანადგურებს ადგილობრივ საწარმოო ძალებს. ამას გრძნობენ თვით კომუნისტები და აკი ამიტომ ერიდებიან „თავის მუშათა კლასის“ პირისპირ შეხვედრას და გადააქვთ თავის სამოქმედო ბაზა სპარსეთში, ბაშკირეთში, მცირე აზიაში და სხვა ასეთ „ბარბაროსულ“ ქვეყნებში.

მარა როდემდის?

## ისევ ბაშკირეთი და ინგლისი

Лѣвая, правая—гдѣ сторона?
Улица, улица ты такъ пьяна!
(салдатская пѣсня).

მოქალაქე ვინ-ბანმა (გაზეთ „კომუნისტიდან“) უარყო ბაშკირეთის ორიენტაცია და ევროპას მიაპყრო თავისი უმანკო თვალები. ეს მეტად სასიამოვნოა. ის კიდევაც გვიჯავრდება ჩვენ: ჩვენ ომის დაწყებიდან ასეთი შეხედულების ვიყავითო. თუ რა შეხედულების იყავით თქვენ ევროპის მუშებზედ ამ რევოლიუციის დროს, ამაზედ სხვა დროს. ახლა მოვილაპარაკოთ იმაზედ, რაზედაც დაგვეთანხმეთ. არც ერთ ჩვენ დებულებას, რომელიც ეხებოდა ინგლისის სოციალურ-ეკონომიურ დახასიათებას და ტრედ-იუნიონების მნიშვნელობას, თქვენ არ უარყოფთ.

პირველი დებულება: ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში გლეხობა უმნიშვნელო როლს თამაშობს. კაპიტალისტური ფორმა აქ თითქმის მთელს მეურნეობაშია გაშლებული. დაქირავებული მუშები (იგულისხმე პროლეტარიატი) ხალხის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ასეთი მდგომარეობა აუცილებელი პირობაა ეკონომიური რევოლიუციისთვის. ამაში გვეთანხმება მოქალაქე ვინ-ბანი. აქედან ჩვენ შემდეგი ლოღიკური დასკვნა გამოგვყავს. როდესაც ბაშკირეთში და მის მოძმე მხარეებში ვინ-ბანის ამხანაგები სოციალისტურ რევოლიუციას ახდენენ, ეს უსათუოდ სასაცილოდ არ ყოფნის ჩვენს მოკამათეს და ბალღების თავშესაქცევ საქმედ მიაჩნია. ეს კარგათ დავიხსომოთ. მეორე დებულება: ჩვენ ვამბობდით, რომ ინგლისში კლასთა ბრძოლამ და მუშების ორგანიზაციამ, ტრედ-იუნიონების სახით, განსაკუთრებულ სიმწიფეს მიაღწია. ვინ-ბანი, რომელიც უსათუოდ აქეთ-იქით იხედება შეშინებული, ამხანაგებმა არ გაიგონონო—გვეთანხმება, რომ ასეთი მუშების უდიდესი ორგანიზაცია აუცილებელი პირობაა იმ ეკონომიურ რევოლიუციისთვის, რომელზედაც ჩვენ უმორჩილესად მოგახსენებდით. რაც შეეხება ბაშკირეთს და ყაბარდის მიდამოებს, როგორც „კომუნისტის“ მკითხველებსაც უნდა მოეხსენებოდეს, იქაურ პროლეტარიატს, თუნდაც ის იყოს მესამე ინტერნაციონალის წევრი, განსაკუთრებულ სიმწიფემდის არ მიუღწევია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ სრულებით არ არსებობს თანამედროვე მუშათა კლასი, რომელზედაც მარქს-ენგელსი დიდ ხანს ესაუბრებოდა თქვენს თანამშრომელს კასპიელს. რასაკვირველია, ზოგიერთი კომუნისტის აზრით ინგლისის ტრედ-[illegible] ბაღლნთილია ლიბერალური. კონტრრევოლიუციონური და სხ. სულებით, ხოლო სარატოვის „მუჟიჩოკი“ დიდი კაცია. დიდი ხანია რაც ის სოციალიზმის სენმა შეიპყრო. ასე ფიქრობს „კომუნისტის“ მკითხველების დიდი უმრავლესობა. რაც შეეხება „ერთობის“ მკითხველებს, რომელიც თქვენ უსათუოდ გაინტერესებთ, მათ ჰგონიათ, რომ აქაც არა საკადრისი თამაშია. მათ აგონდებათ ბავში, რომელსაც ბოხოხის ქუდი დაახურეს, ხელში მისცეს მათრახი და ჯოხზე დააჯინეს. ბავშვი იძახის: „აჩუ, აჩუო“ და თავისი თავი სერიოზულად დიდი მხედარი გონია. პედაგოგები ამბობენ, რომ ეს ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზეო. ვინ-ბანიც დაგვეთანხმება, რომ პედაგოგები მართალნი არიან.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ და ვინ-ბანი ბევრ რამეში შევთანხმდით. დარჩა უკანასკნელი და უმთავრესი კითხვა. წინაწერილში ჩვენ გეკითხებოდით: იზიარებთ თუ არა ჩვენს შეხედულებას მოწინავე ქვეყნის მუშების როლზედ და განსაკუთრებით ინგლისზედ? თუ იზიარებთ, მაშინ კეთილ ინებეთ და ამოაშაქრეთ: **როგორი იქნება ისეთი ინტერნაციონალი, სადაც არ შევა ინგლისის თითქმის მთელი შეკავშირებული მუშათა კლასი?** აი ამაზედ უნდა გაგეცათ პასუხი, პატივცემულო მოქალაქევ და არა ნაკლებ პატივცემულო ბატონო. ჩვენ, თქვენის აზრით, გაუბედავი ვართ. თქვენ ხომ უშიშარი და უმწიკვლო რაინდი ბრძანდებით. მიიღეთ მოწყალება და დასმულ კითხვაზედ პირდაპირი პასუხი გაგვეცით. ნუ ედებით ლობე-ყურეს „**страха ради іудейска**“.

თუ ვეღირსეთ ოდესმე თქვენს პასუხს პირველ წერილში „ისანთ“ დასმულ და აქ განმეორებულ კითხვაზედ, ჩვენ შემდეგ შევეცდებით ვრცლათ მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ სოციალისტურმა პარტიებმა, როგორი სამუშაო გეგმა გამოიმუშაონ, როგორი სამოქმედო აპარატი შექმნან და სხ. მაშინ ჩვენ სრულებით თავს დავანებებთ ბაშკირეთის კომუნისტების ხსენებას, რომელიც თქვენის თქმით, მოსაწყენი ამბავია და ჩვენის აზრით სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ბ. თეკლათელი.

## დამფუძნებელი კრება

29 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ქრ. შარაშიძის** ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი კანონებისა: საპყრობილეთა დამცველი რაზმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. თფილისის სამოსამართლო პალატის შტატის დამატების შესახებ. საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. ქ. ფოთის სასარგებლოდ ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

**საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ბათომის და ბათომის ოლქის შესახებ.**

**ევგ. გეგეჭკორის სიტყვა.**

მოქალაქენო! ორი წლის წინად ქართველი ერი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ტლანქ ძალას. მას დროებით ჩამოგლიჯეს ბათომი და მისი ოლქი. ეს ალაყაფის კარები ჩვენი რესპუბლიკის და აკვანი ეროვნულ კულტურისა და პირველი ნასკვი ჩვენი მუშათა მოძრაობისა. გვაგონდება ის შავბნელი დღეები, როდესაც ჩვენი დემოკრატია მოკლებული ყოველნაირ დახმარებას, დაყრდნობილი მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებზე, იარაღით ხელში იცავდა თავის საზღვრებს გარეშე მტრის შემოსევისაგან და ამავე დროს იგერიებდა გაათრებულ იერიშებს შავბნელ ძალებისა, რომელთაც უნდოდათ შინაური ფრონტი გაეტეხათ, გაეჩაღებინათ ჩვენში სამოქალაქო ომი, გადაესროლათ ჩვენი ხალხი ანარქიის უფსკრულში. ამნაირ ჯოჯოხეთურმა ბრძოლის პირობებმა არამც თუ ვერ გატეხა ჩვენი ხალხი და ვერ აალებინა ხელი ბრძოლაზე, პირიქით ეს თამამად შემოძლიან აღვნიშნო დღეს აქ, რომ ამ ბრძოლის ქარტეხილიდან გამოვიდა იგი გაკაჟებული, გასალკლდევებული.

ბათომი ორი წლის წინად დავკარგეთ, მაგრამ ყველა ჩვენთაგანს, ვისაც სწამდა და სწამს ჩვენი ბრწყინვალე მომავალი, ეჭვიც არ დაბადებია იმაში, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ბათომი და მისი ოლქი, ეს განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, ბოლოს დედა სამშობლოს დაუბრუნდება. დღეს ასრულდა ნებისყოფა მთელი საქართველოსი, შეთანხმების სახელმწიფოებმა და კერძოთ ინგლისმა ფორმალურად აღიარეს, რომ ბათომი დაუბრუნდეს საქართველოს და ასეთი მათ მიერ განცხადება დოკუმენტალურად არის ჩვენ წინაშე (ტაში).

ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია [illegible] საქართველოსთვის უკვე ფორმალურად აღიარებულ უფლებას რეალურ ფაქტად აქცევს (ტაში). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა ბოროტად არ ისარგებლებს ამ მდგომარეობით. თქვენ გახსოვთ, მოქალაქენო, რომ არა ერთხელ ამ ტრიბუნიდან განგვიცხადებია, რომ როდესაც ბათომი დაუბრუნდება თავის დედა სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკა თავის მეზობელ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს მისცემს საშუალებას თავისუფლად ისარგებლონ ბათომის ტრანზიტით და ამ ნიადაგზე სდგას დღეს საქართველოს მთავრობა.

ჩვენი საერთო მტრები არ სცხრებიან. მოქალაქენო, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ის მოსყიდული აგენტები, რომელთაც უნდოდათ ჩვენ და სამუსლიმანო საქართველოს შორის მწვავე ურთი-ერთობა დაემყარებინათ, რომელნიც არ შეჩერდენ იმის წინაშე, რომ ძმას დაეღვარა ძმის სისხლი, დღესაც განაგრძობენ თავის მუშაობას, ლამობენ ნებისყოფა მთელი გაერთიანებულ საქართველოსი შეაჩერონ, ავრცელებენ ხმას თითქოს საქართველოს მთავრობა მიდის ბათომის ოლქში, როგორც ვითომც შურის მაძიებელი. საქართველოს მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ეს სრულიად სიმართლეს მოკლებული არის. საქართველოს მთავრობა არავისზე შურს არ იძიებს. ის აძლევს სრულ დავიწყებას ყოველივე იმას, რაც ჩაიდინეს ბოროტი აგენტების მიერ შეცდომაში შეყვანილმა ზოგიერთმა ელემენტებმა ბათუმის პროვინციაში. მაგრამ თუ შემდეგში ვინმე შეეცდება შეაჩეროს ძლევამოსილი მოქმედება საქართველოს ჯარისა იქ, იმ ოლქში, რომელიც მას უკვე ჩაბარდა ფორმალურად, თავის თავად ცხადია ლახვარი საქართველოს ჯარისა არ დაინდობს ასეთ პირებს. მე ვათავებ ჩემს მოკლე განცხადებას იმ იმედით, მოქალაქენო, რომ პროვოკაციული ზომები იმ მოსყიდულ აგენტებისა, რომელნიც არიან ერთდა იმავე დროს, როგორც საქართველოს, ისე ბათომის ოლქის მკვიდრთა მტრები, მათ მოქმედებას გასავალი არ ექნეს.

ამ მოკლე ხანში ჩვენი ჯარი ბათომში შევა არა როგორც დამპყრობელი ძალა, ვინაიდან ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვაღიაროთ, რომ ბათომის ოლქის მკვიდრთა უმრავლესობა მოსურნე არის საქართველოსთან შემოერთების, რომ ბოლოს და ბოლოს ეს ოლქი ერთხელ მოგლეჯილი საქართველოსაგან, დაუბრუნდეს დედა სამშობლოს. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ ექვს ადგილი არ ექნება და ამნაირად აღსრულდება ნებისყოფა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში ისე მთლიან საქართველოსი. ამ იმედით, მოქალაქენო, მივმართავ მე მთელ ჩვენ ხალხს და უსურვებ, რომ ის დიდი გამარჯვება, რომელიც ჩვენმა დემოკრატიამ თავის ბრძოლაში მოიპოვა, ეს გამარჯვება დაგვირგვინებულიყოს (მხურვალე ტაში).

თავმჯდომარე კენჭს უყრის სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შემოტანილ მორიგ საკითხებზე გადასასვლელ შემდეგ ფორმულას, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ბათომის და ბათომის მხარის, შეთანხმების სახელმწიფოების მირ საქართველოსთვის დაბრუნების შესახებ, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას, რომ სამართლიანობის იდეამ გაიმარჯვა და საქართველოს უდავო უფლება აღდგენილ იქნა. დამფუძნებელი კრება მიესალმება სამუსლიმანო საქართველოს, ულოცავს მას მის მშობლიურ დედასთან დაბრუნებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველო, განურჩევლად სარწმუნოებისა, თავდადებით დაიცავს ეგზომ მსხვერპლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას. ფორმულის მიღების შემდეგ თავმჯდომარე მიმართავს დეპუტატებს შემდეგი სიტყვით:

**ალ. ლომთათიძე.** მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ. სამუსლიმანო საქართველო, რომელიც სხვადასხვა გარეწარ ელემენტების მოღვაწეობის წყალობით დღემდე თითქოს მტრულ განწყობილებაში იყო საქართველოსადმი, დღეს ეს სამუსლიმანო საქართველო განუყოფელ ნაწილს შეადგენს ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკისას (მხურვალე ტაში).

თქვენი სახელით, მოქალაქენო, ღრმა იმედს დ რწმენას გამოვსთქვამ, რომ დღეის ამიერ ისეთ მოქმედებას მიმართულს მათდამი, რომ ეს ორი ღვიძლი ძმა გათიშული დ განცალკევებულნი იქნენ-ადგილი აღარ ექნება საქართველოს ტერიტორიაზე. თქვენი სახელით მივმართავ სამუსლიმანო საქართველოს და ვეტყვი: ნუ მოვესწრებით იმ დღეს, რომ ეს ჩვენი ძმური განწყობილება დარღვეულიყოს.

და, ამ ჩვენმა გაერთიანებულმა დე- [illegible] გვარი მტერი, ვინც უნდა იყოს, შინაური თუ გარედან შემოჭრილი. გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს, გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს, გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას. (მქუხარე ტაში).

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონის ემისიისა 1920—1921 წლისათვის ნავარაუდევის ბიუჯეტის ფარგლებში.

**მელ. რუხიას** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი ქალაქ თფილისის მილიციის შესანახად 1918—1919 წ. განმავლობაში გაწეული ხარჯის 50 პროცენტის ანაზღაურებისა.

**მისივე** მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შტატების და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გზათა უწყების 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 150,028,025 მ. 65 კ. გადადებისა. დასასრულ დახურულ კარებში განხილულ იქნა კანონ-პროექტი სახალხო გვარდიის შტატის დამატებისა და ცვლილების შესახებ.

## აკაკი ჩხენკელის საპასუხო სიტყვა*)

მოქალაქენო! მე თითქმის ჩემი მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა გამიტარებია ოპოზიციის რიგში, მაგრამ ოპოზიციის ვალდებულება არ მესმოდა ისე, რომ მას შეუძლიან უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება. აქ ჩვენ გვეუბნებიან მაგალითად, რომ ჩვენ მენშევიკური ზავი შევკარით, წინედაც მენშევიკურ ზავებს ვკრავდით და ამას უპირდაპირებენ პოლონურ ზავს. ამის მთქმელი ყოველ შემთხვევაში, მართალი იყო იმაში, რომ ჩვენი ზავი არ იქნებოდა ისეთი, როგორსაც ის თვითონ, ჩვენი მოკამათე შეკრავდა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ზავი, ყოველ შემთხვევაში, უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიის ინტერესებიდან და ერთა შორის სოლიდარობის იდეიდან. ეს თვალსაზრისი მუდამ წინ გვიდგას ჩვენ, როგორც აქ, ისე სხვაგან, განსაკუთრებით აქ, ამიერ-კავკასიაში, სადაც საჭიროდ ვთვლით მეზობლურ და მეგობრულ განწყობილებას სხვა და სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის.

მეც დავსვი ის საკითხი, რომელსაც სვამდენ აქ ზოგიერთი დეპუტატები—

*) წარმოთქმული დამფუძნებელ კრების სხდომაზე 25 ივნისს საქართველო-ადერბეიჯანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს.

# დღეს

**საინფორმაციო ბიუროს ცნობით, ახლო მომავალში მოსალოდნელია ლორდ კერზონის სამინისტროდან გასვლა, რის მიზეზათაც უნდა ჩაითვალოს უთანხმოება მასა და ლოიდ ჯორჯს შორის.**

გენერალური შტაბის ცნობები.
**30 ივნისი.**

**ყველა ფრონტებზე სიწყნარეა.**

**გენერალური შტაბის ცნობის თანახმათ, მაზანჩაის მარცხენა მხარეზე ჩვენს მზვერავებს შეტაკება მოუხდათ 8 წითელ არმიელთან. სროლის დროს დაიჭირა ერთი წითელ არმიელი.**

ვისთან გვაქვს საქმე: დამოუკიდებელ, თუ დამოკიდებულ სახელმწიფოსთან? და ვფიქრობთ მხოლოდ ასე: ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ ეს სახელმწიფო იყოს დამოუკიდებელი. ამ გვარ პოლიტიკას ვაწარმოებდით ჩვენ და მომავალშიაც ვაწარმოებთ. ამიტომ ჩვენ არ უქვემდებარებთ მთელ ჩვენ მუშაობას მარტო ერთ რომელიმე მოსაზრებას—ისტორიულს, თუ ტერიტორიალურს. ამას ჩვენ უქვემდებარებთ მოსაზრებათა მთელ რიგს და ასეთ შემთხვევაში ჩვენ უეჭველად გვიხდება არჩევა იმ გზისა, რომლითაც მშვიდობიანობას უსისხლოდ მივაღწევთ. რასაკვირველია, ამასთანავე დაცულ უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის საარსებო ინტერესები და ვფიქრობთ, რომ ეს ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ წინ არის, არ არის ისეთი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ის ეწინააღმდეგება ამ საარსებო ინტერესებს. ერთმა ორატორმა აქ სთქვა, რომ ჩვენი მდგომარეობა საზღვრებზე ომის წინ უფრო უკეთესი იყო, ვიდრე ეხლა. ეს შემცდარი აზრი არის. ომის წინ ჩვენ თითქმის არავითარი გარკვეული საზღვრები არ გვქონია. ყოველ შემთხვევაში, ადერბეიჯანის პრეტენზიები იმ ხაზის აქეთ იყო, რომელიც დღეს არის ჩვენსა და მათ შორის.

რაც შეეხება ზაქათალის ოლქს, ის, მოგეხსენებათ, რომ თფილისის გუბერნიაში არ შემოდიოდა. რასაკვირველია, ეს იყო უსამართლო მოვლენა, ამაში ყველანი თანახმანი ვართ, მხოლოდ ფაქტი ფაქტად რჩება და ამისთვის ანგარიში უნდა გაგვეწია. დღეს კი, ფორმალურად, იურიდიულად, რამდენად ნაწერების გაგება შეიძლება, იმედი გვაქვს, რომ ზაქათალის ოლქი შეიქმნა საქართველოს ტერიტორიად და თუ დავა [illegible], იგი ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდება. მართალია, ბალშევიკებს თავისი [illegible], თავისი პროგრამა აქვთ. ჩვენ ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პროგრამა გვაქვს. ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთს დაპირისპირებულია და მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი წინააღმდეგობა არის ძირითადი.

და საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, როგორც არა ბალშევიკური, ან სულ არ იარსებებს. ან იარსებებს, როგორც დემოკრატიული, ან სულ არ იარსებებს.

მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ რაც დაპირებულია და ჩაწერილი ხელშეკრულობაში, ის შესრულებული იქნება. ჩვენ ვნახავთ სულ ახლო მომავალში შეასრულებს თუ არა მოსკოვის მთავრობა იმას, რასაც ხელი მოაწერა და მაშინ გამოვიტანთ შესაფერ დასკვნას. მანამდის კი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. და ასეთი დასკვნის გაკეთება დღესვე არ არის პასუხისმგებელი გამოსვლა.

ადერბეიჯანის რესპუბლიკაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს არა ის, რომ ადერბეიჯანი ჩვენ გვეხმარებოდეს, ეს არ გვეჭირვება, თავი და თავი ისაა, რომ ის ლოიალური იყოს და შეიგნოს თავისი საკუთარი ინტერესები. არ ვიცი რამდენად შეეგუება ადერბეიჯანის დღევანდელი მთავრობა თავის ხალხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ადერბეიჯანის ხალხმა, თუ შეიგნო თავისი საარსებო ინტერესები, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, ის იმასაც შეიგნებს, რომ მისი და ჩვენი ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ადერბეიჯანი იყოს დამოუკიდებელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მიუხედავად ყველა ჩემ მიერ თქმულისა, მე არ შემიძლიან არ დავეთანხმო ჩვენს მოპირდაპირე ორატორებს იმაში, რომ ჩვენი მდგომარეობა რთულია. ჩვენ ირგვლივ რკალშემორტყმულნი ვართ. სწორედ იმიტომ, რომ მდგომარეობა რთულია, ამიტომ ჩვენი მთავრობაც არ აწარმოებდა რისკის პოლიტიკას, და ყველა ის, რასაც აქ ბ-ნი ვეშაპელი ბრძანებდა, არის რისკის პოლიტიკა. ჩვენ რისკის პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ, სანამ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის წინაშე.

ჩვენდა საბედნიეროდ, როდესაც ჩვენი დემოკრატია სისხლსა ღვრის, იცის რისთვის ღვრის. შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყოს არა მარტო აზიაში, არამედ მთელს ევროპაში. როცა ერს ესმის, რისთვის იბრძვის, არ შეიძლება მისი ომში ჩათრევა მის დაუკითხავად, მის წინაშე უპასუხისმგებლოდ. ვიმეორებ, ჩვენ ვაწარმოებთ დემოკრატიულ ან, როგორც თქვენ უწოდებთ, მენშევიკურ პოლიტიკას და იგი დარჩება ძალაში.

დასასრულ მე მინდა შევჩერდე მხოლოდ ერთ კითხვაზე, რომელიც დასვა ბ-ნმა ვეშაპელმა, მე მაქვს სახეში ორიენტაციის საკითხი. დიდი შეცდომაა, თითქოს ჩვენ დავდექით რუსეთის ორიენტაციის ქვეშ. მე არ მესმის არც ერთი ორიენტაცია. თქვენ ალბად რომელიმე სხვა სახელმწიფოს ორიენტაცია გნებავთ. ორიენტაციი გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს იარაღად ქცევას. ჩვენ არ გვინდა, რომ ვისიმე იარაღად გადავიქცეთ, ჩვენ გახლავართ საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისი თავის ორიენტაციისა. და ამ ორიენტაციისთვის, თუ საჭიროება მოითხოვს, სისხლსაც დავღვრით.

მე მინდა შევეხო ზოგიერთ ვითომდა ფაქტებს, რომელიც აქ მოიყვანეს. აქ თქვეს თითქოს მთავარ სარდალს ჯარები უკან დაეხიოს დროებითი ზავის წინ, დაეტოვებინოს ის პოზიციები, რომელიც მას ქონდა საომარი მოქმედების ბოლოს. მერე, თითქოს მთავრობა თავისთვის მოქმედებდა, სარდლობა კი თავისთვის, ეს არ არის მართალი. (ვეშაპელი: ასე იყო!) არა, ეს სინამდვილე არ არის. სარდლობა მოქმედებდა ყოველთვის მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ, თუმცა დროებითი საზავო ზონას გაყოლება სარდლის საქმეა და კიდეც მან გააყოლა მოპირდაპირესთან შეთანხმებით. არ შეეფერება სინამდვილეს განცხადება, თითქოს ჩვენმა ჯარმა დასტოვა პოზიციები და დადგა წითელი ხიდის აქეთ, თითქოს ზავი რომ არ ჩამოვარდნილიყო და საომარი მოქმედება ისევ განახლებულიყო, ჩვენი ჯარი საშინელ მდგომარეობაში იქნებოდა. ნამდვილათ კი ჩვენ გვეჭირა გაბატონებული პოზიციები არა მარტო წითელ ხიდზე, არამედ ყაზახის მიმართულებითაც.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვეჭირა ორი მთა ხრამის გაღმა, როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეთი. ასე რომ ჩვენს ჯარს გაბატონებული პოზიცია ეჭირა მაშინ, როდესაც ჩვენ საზავო მოლაპარაკება დავიწყეთ.

რაც შეეხება გენერალ მაყაშვილის შესახებ განცხადებას, რომ ვითომ ის პასუხისგებაში არის მიცემული და შეიძლება დახვრეტილიც, ეს რასაკვირველია, ფაქტის საკითხია და ამას ყურადღებას მიაქცევს მთავრობა, განსაკუთრებით საგარეო სამინისტრო.

მაშასადამე, მოქალაქენო, თქვენ უნდა მიიღოთ და დაამტკიცოთ ხელშეკრულება, ვინაიდან ის უზრუნველყოფს, რამდენათაც ეს შეუძლიან ხელშეკრულებას, ჩვენს საზღვრებს და მეორე მხრივ ის მოასწავებს დემოკრატიულ ზავს, რომლითაც კი არ უნდა გაღრმავდეს მტრობა და შუღლი ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის, პირიქით, უნდა გაქრეს იგი. (ტაში).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)
30 ივნისი.

**ფრანგული ცნობები.**

**მილერანი საერთაშორისო სავაჭრო პალატის გახსნაზე.**

მილერანი საერთაშორისო სავაჭრო პალატის გახსნას დაესწრო.

**ოსმალები და სომხების ბრძოლა.**

ადანში ოსმალები და სომხები ბრძოლას განაგრძობენ.

**პორტუგალიის კაბინეტი.**

ანტონიო მარია სილვას მიერ შედგენილ პორტუგალიის კაბინეტში შედიან: 5 დემოკრატი, 2 ხალხოსანი, 3 დამოუკიდებელი 1 სოციალისტი.

**სტენდალის ძეგლი.**

ორშაბათს, ლიუქსემბურგის ბაღში საფრანგეთის რომანისტ სტენდალის ძეგლი აკურთხეს. პოლ. ბურჟუემ სიტყვა წარმოსთქვა.

**დიდი ვეზირის განცხადება.**

დიდი ვეზირი, სწერს „ეკო-დე-პარი“, უარყოფს, თითქოს საფრანგეთის პრესისთვის მას განცხადება გაეკეთებიოს და უკვირს, რომ მას მიაწერეს სიტყვები თითქოს პორტა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აპირებდეს.

**უმაღლესი საბჭო საბერძნეთის მოქმედების შესახებ.**

ომის წარმოება მოიწონა უმაღლესმა საბჭომ. საბერძნეთის ხალხმა და მთავრობამ გადასწყვიტა ეს შემოფარგლონ თავისი მოქმედება მარშალ ფოშისა და უილსონის ჩვენების თანახმად და განაგრძონ საბერძნეთის ჯარის დახმარებით ყველა მოკავშირის ომი მტრის წინააღმდეგ, რომელიც საზავო პირობებზე აშკარად უარს აცხადებს; აქ არ არის ლაპარაკი ავანტიურაზე—საფრანგეთის მთავრობამ ეს ძლიერ კარგად გაიგო.

**გერმანიის ახალი მთავრობის დეკლარაცია**

ბერლინიდან იუწყებიან: ფერენბახმა ორშაბათს რეიხსტაგში მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა. გერმანიის დამოკიდებულება საზღვარ გარეთთან, სთქვა კანცლერმა, ვერსალის ხელშეკრულებაზეა დამყარებული. კერძოთ გერმანიამ პატიოსნათ უნდა აასრულოს თავისი დაპირებანი, შეამციროს ჯარი იმ რიცხვამდე, რამდენიც შინაურ წესრიგისა და საზღვრების დასაცავათ არის საჭირო. ჩვენ მთავარ მიზანს მასში ვუცქერით, რომ ბოლო მოუღოთ საბედისწერო მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა უნაყოფო შედეგებით—ჩვენი ცდით, რომ სავსებით შეგვესრულებინა ხელშეკრულება და დაგვემტკიცებინა ჩვენი გუშინდელი მოწინააღმდეგისთვის, რომ ყოვლად ძლიერებისა და რევანშის ფიქრი ყველაზე ნაკლებათ არის გერმანის ხალხში, რომელმაც ეხლა იცის მხოლოდ სიტყვები: აღდგენა ძლიერ და მშვიდობიან შრომით იმისა, რაც დანგრეულია ომისაგან. კანცლერმა თავის სიტყვა დაასრულა განცხადებით: „მე იმედი მაქვს სპის კონფერენციისა“-ო.

**ბალშევიკები ყოფილ რუსეთის ვალის შესახებ.**

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობის თანახმათ ბალშევიკები, რომლებიც არა ერთხელ ამბობდენ უარს იმ სესხის ცნობაზე, რომელიც აიღეს ძველი რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა, დორპატის კონფერენციაზე დაჟინებით მოითხოვენ, რომ ფინეთმა გადაიხადოს სამხედრო ხარჯები ფინეთის რუსეთიდან ჩამოშორებამდე.

**სპარსეთის პრემიერის გადადგომა.**

თეირანიდან მოსული ცნობით სპარსეთის პრემიერ-მინისტრი გადამდგარა.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** ივნ. 29. მოზირის რაიონში მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ჩვენ მოზირის 10—15 ვერ. აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიკავეთ. სარნის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით აიღეს სოფლების მთელი რიგი. სტარო-კონსტანტინოვის მიმართულებით ჩვენი ცხენოსანი ჯარის საშუალებით მოპირდაპირე დიდი ზარალით რამდენიმე სოფლიდან გავრეკეთ. ჩვენ რამდენიმე ასი პოლონელი აჭრეხეთ. ბერდიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს მდინარე სვეტოჩნაისკენ მიდევნის.

**საბერძნეთის შეტევა.**

კონსტანტინოპოლიდან გაზეთ „მატენ“-ს აუწყებენ, რომ საბერძნეთის შეტევა აწუხებთ ოსმალებსო. მრავალი გაზეთი ჰკიცხავს ნაციონალისტებს, რომელთა აგრესიული მოქმედების გამო კილიკიაში ოსმალთა სოფლებს საფრანგეთის გემები ესროდენ.

საბერძნეთის ჯარის ხაზი გადის სომაზე გელემბეზე, აკ—სისარზე, მერმერზე, ადალზე, ფილადელფიაზე და ბოლოდლით მეანდრამდე. ძლიერი რაზმები სწმენდენ დაკავებულ ზონას. საოკუპაციო ოლქეის მცხოვრები ოსმალები ქემილის ტირანისაგან განთავისუფლების გამო თავის სიხარულს გამოსთქვამენ.

**სურსათის გადამალვა ბერების მიერ.**

ნოვგოროდ-სკოვოროდსკის მონასტრის სობოროს საკურთხეველში ხატით დაფარული საიდუმლო შესანახი ადგილი აღმოაჩინეს, სადაც ნახეს 100,000 მან. ფულათ და 50,000 სარწყავი ქვავი, რომელიც ბერებს აღწერისაგან გადაემალათ. ბერები დაიჭირეს.

**ჩიჩერინი ალანდის კუნძულის შესახებ.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს და ამავე ცნობით მიმართა ფინეთის და შვეციის მთავრობებს, რომ ალანდის კუნძულების გადაცემის საკითხი რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის დაუკითხავად ხდება, მაშინ, როდესაც არ არსებობს არავითარი ხელშეკრულებანი და დადგენილებანი, რომლებიც უარყოფს რუსეთის რესპუბლიკის უფლებებს ამ კუნძულებზე. გარეშე საქმეთა კომისარი აცხადებს, ყოველგვარი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით რუსეთისათვის არა-სავალდებულო [illegible]

**აჯანყება ჰამბურგში.**

ჰამბურგში შიმშილის ნიადაგზე აჯანყებამ იფეთქა. მოხდა შეტაკება მცხოვრებლებისა პოლიციასთან. მოკლულია 2, დაჭრილი 100.

**ამერიკის მუშები და რესპუბ. პარტია პოლონეთის დახმარების შესახებ.**

ამერიკის მუშებმა და რესპუბლიკანურმა პარტიამ ვილსონს მოთხოვნილება წარუდგინეს არ გაუგზავნონ პოლონეთს იარაღი და ამუნიცია.

**აჯანყება გალიციაში.**

პოლონელებმა აღმოსავლეთ გალიციაში მომხდარი გლეხების აჯანყება მკაცრი ზომებით ჩააქრეს.

**დახმარება წითელ არმიელებს.**

**ვიტებსკი.** საკერ სახელოსნეობის მუშები ყოველდღიურად ამზადებენ წითელ არმიელებისათვის საცვლებს. ამას გარდა მათ ერთი დღის ხელფასი გადასდეს ავათმყოფ წითელ არმიელთა სასარგებლოდ.

**მახნო და ვრანგელი.**

**ხარკოვი.** 28 ივნ. მახნოს კავშირი ვრანგელთან დოკუმენტალურად დამტკიცდა. დაკავებულია ის აფიცრები, რომლებსაც მახნოდან ვრანგელთან მიქონდათ ცნობები.

**საქართველო და ადერბეიჯანი.**

**კავკავი.** საქართველოს დამფ. კრებამ ადერბეიჯანთან დადებული ხელშეკრულება დაამტკიცა.

**გენ. სორტის განზრახვები.**

**ადესა.** 26. გენერალი სორტი, რომელიც თეთრ უნგრეთს მეთაურობს, წინადადებას აძლევს მოკავშირეებს უნგრეთში მონარქიის აღსადგენათ, დართონ მას ნება, რომ პოლონეთს მიახმაროს უნგრეთის ჯარი საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველათ.

**ნოსკე ჰანოვერის პრეზიდენტი.**

**ნაუენი.** ყოფილი თავდაცვის მინისტრი ნოსკე ქალაქ ჰანოვერის პრეზიდენტათ დაინიშნა.

**საბჭოთა მთავრობა და ოსმალეთის კომუნისტური პარტია.**

**ყაზანი.** 26. მოვიდა შინაგან საქმეთა კომისარი ვლადიმიროვი, რომელსაც ოსმალეთის კომუნისტურ პარტიას და ქემილ ფაშის ანატოლიის რევოლიუციონურ მთავრობას წარმომადგენლები მოყვენ. თათრების რესპუბლიკის გამოცხადების გამო დღესასწაულები დაიწყო.

**რუსეთი და ერთა ლიგა.**

**ნიკოლაევის რადიო-სადგურიდან.** (გამოტოვებულია), ერთა ლიგა, იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ერთა ლიგასთან. გაზეთი ფიქრობს, რომ მარტო სპარსეთისა და საბჭოთა რუსეთის გაუგებრობის გამორკვევა არაპირდაპირად საბჭოთა რუსეთის ცნობით ნიშნავს. ძნელია, რომ ერთა ლიგამ ამ საკითხში თავის თავზე პასუხისმგებლობის მიღება იკისროს, გაზეთი აღნიშნავს ერთა ლიგის საორგანიზაციო დეფექტებს და სასურველად სთვლის გადადებას ერთა ლიგის სხდომებისას, სადაც უნდა გაირჩეს გაუგებრობანი საბჭოთა რუსეთთან.

**საფრანგეთის პრესა მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ.**

პარიზის გაზეთები 12 და 13 ივნისისა დიდ ადგილს უთმობენ მილიერანის განცხადებას პარლამენტის საგ. საქ. კომისიაში აღმოსავლეთის საკითხის შესახებ ირკვევა, რომ ლოიდ-ჯორჯისა და კლემანსოს მოლაპარაკების დროს აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, კლემანსოს უარი განუცხადებია მოსულის მართველობაზე, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის 1916 წლის შეთანხმებით საფრანგეთს უნდა მიეღო თავის თავზე. გამოქვეყნებულია მოლაპარაკების იქმი, რომელიც შედგენილია 1919 წ. სადაც არის კლემანსოს განცხადება. ის ამბობს რომ ლონდონის კაბინეტის პოლიტიკამ აღმოსავლეთში ზიანი მიაყენა არა მარტო ფრანგებსა და ინგლისელებს, რომელთაც უხდებათ ძლიერ ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლა... (გამოტოვებულია). საჭიროა საფრანგეთის ახლო-აღმოსავლეთის პოლიტიკის გადასინჯვა, რადგანაც დიდი ჯარის შენახვა და ასეულ მილიონების დახარჯვა საფრანგეთს არ შეუძლია.

**თფილისში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ცნობები.**

**პოლონეთის ფრონტი.** ბერეზინის ხაზზე ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. მოზირის აღმოსავლეთით მტრის რეზერვებთან ბრძოლაა. მოზირის სამხრეთით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. როვნოს მიმართულებით პოლონელები ვოლინის ნოვგოროდისკენ უკუ ვაგდეთ. ჩვენ ქალაქის ხელში ჩასაგდებათ ვიბრძვით. პროსკუროვის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის წარმატებით. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და სხვა ნადავლი.

**ყირიმის ფრონტი.** ორეხოვის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით სამს ვერსზე ბრძოლა გრძელდება.

**იტალიის სამეფოს პოლიტიკური სააგენტოს ცნობები.**

**ლონდონი** 28 ივნ. უმაღლეს საბჭოს მუდმივმა ეკონომიურმა კომიტეტმა სთხოვა კრასინს ცნობები საბჭოთა კომერციულ კანონების შესახებ, კრასინმა თავი შეიკავა და გადასწყვიტა თავისი მთავრობისაგან მიეღო ინსტრუქციები. საბჭოს ანალოგიურ კითხვებზე კრასინმა კატეგორიულათ უპასუხა, რომ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის წარმოება შესაძლებელია მხოლოთ მთავრობასთან პირდაპირი დამოკიდებულებითო.

**ბერლინი.** 28. სიძვირის გამო გერმანიის მრავალ ქალაქებში იფეთქა აჯანყებებმა. განსაკუთრებით ბერლინსა და ჰამბურგში, სადაც მრავალი მაღაზია დაამსხვრიეს.

**რომი.** გაზბობის სამმართველო იუწყება, რომ ერთ ტონა ლითონის კოკსზე ფასმა 750 ლირამდე დაიწია.

**ლონდონი.** 28. ვილპარაიზოდან „დე[illegible] დენტათ ხმის უმეტესობით აირჩიეს ბანროზე ვერგორიო.

# თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

30 ივნისი.

**პარიზი.** მილიერანმა პარლამენტის საგ. საქმეთა კომისიაში შემდეგი განაცხადა ოსმალეთის მომავალ დაყოფვის შესახებ: მოკავშირეებმა გადასწყვიტეს არ მოსპონ ოსმალეთი; საჭიროა ეს სახელმწიფო უზრუნველყოფილ იყოს განსაზღვრულ ტერიტორიით. ამ გადაწყვეტილებამ უნდა გამოიწვიოს გადასინჯვა იმ შეთანხმებისა, რომელიც საფრანგეთსა და ინგლისს შორის იყო დადებული 1919 წლამდე. ოსმალეთი ჰკარგავს დასავლეთ და აღმოსავლეთ ფრაკიას. სულთანი რჩება კონსტანტინეპოლში, სადაც აგრეთვე იქნება სრუტეების დამცველი მოკავშირეთა კომისია. საფრანგეთი ღებულობს მანდატს სირიაზე ინგლისი კი მესოპატამიისა და პალესტინაზე. კილიკია ოსმალეთის ხელში რჩება. ბერძნების მიერ სმირნის ოკუპაცია საბოლოოდ მოხდება პლებისციტის შემდეგ. საკითხი სომხეთის შესახებ ისევ ღიათ არის, რადგან ჯერჯერობით არც ერთმა სახელმწიფომ არ განაცხადა თანხმობა მისი მანდატის აღებაზე.

**პარიზი.** „ტანი“ ათავსებს საგანგებო წერილს საქართველოს შესახებ. წერილის ავტორი ბ. ჟანტიზენი წერილის თავში იძლევა მოკლე რეზიუმს საფრანგეთ საქართველოს დამოკიდებულების შესახებ. საქართველოში, ამბობს ავტორი,—ყოველთვის დიდი იყო საფრანგეთის გავლენაო. რუსეთთან დამოკიდებულებამდე საქართველომ ლუი მეთოთხმეტესთან დანიშნა თავისი ელჩი. ნაპოლეონს გეგმაში ჰქონდა საქართველოსთან კავშირის შეკვრა, მაგრამ ტილზიტის შემდეგ საქართველოს 117 წლის განმავლობაში მოესპო საშუალება საფრანგეთთან დამოკიდებულების დაჭერისა, შემდეგ დადგა ხანა საქართველოში საფრანგეთის გავლენის თანდათან დაცემისა. ამასთანავე ავტორი ადასტურებს, რომ ინგლისს ძალიან ცოტა გავლენა ჰქონდა საქართველოზეო. ამავე დროს ძლიერი იყო გერმანელების გავლენა, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ათას ცხრას თვრამეტ წელს გერმანელებმა საქართველო გადაარჩინეს ოსმალეთის შემოსევისაგანო. გერმანულ გავლენის გაძლიერებას ხელი შეუწყო კავკასიაში მყოფმა გერმანელმა კოლონისტებმაც, საქართველოში მრავალი გერმანელი სამეცნიერო ექსპედიცია იყო ამ ქვეყნის საფუძვლიანათ შესწავლის მიზნით მოწყობილი. ავტორი წინადადებას იძლევა, სანამ დაგვიანებული არ არის, გავაგზავნოთ ფრანგი მასწავლებლები თფილისში და საქართველოში ფრანგული ლიცეი კი დავაარსოთ, ავტორი აღნიშნავს აგრეთვე საქართველოსთან სავაჭრო დამოკიდებულების საჭიროებას. საფრანგეთს შეუძლია საქართველოსგან მიიღოს საჭირო ნედლი მასალა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ფრანკმა თავისი ღირებულება შეინარჩუნა. ჟანგიზენი ამბობს: საფრანგეთი ამ დარგში ჩამორჩა სხვა ქვეყნებს და განსაკუთრებით იტალიას, რომელმაც უკვე გააგზავნა კომისია რესპუბლიკის ეკონომიურ პირობების შესასწავლათ. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის ჩამოთვლის შემდეგ ავტორი აღნიშნავს მარგანეცის უმდიდრეს მადანს რომელიც ასე სჭირდება საფრანგეთსა და სხ.

**ბერლინი.** ჩამოვიდენ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერები კაშენი და როსარი. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ კაშენი და როსარი მიემართებიან ბერლინიდან აღმოსავლეთისაკენ, ამასთანავე მათი მოგზაურობის მიზანი არის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ემისრებთან შეხვედრა. ამ შეხვედრას კრასინთან მომხდარ ლონდონის მოლაპარაკებასთან აქვს კავშირი.

**პარიზი.** „ტანი“ იუწყება: პორტუგალიის საზავო დელეგაციის წარმომადგენელმა აფონსო კოსტამ საზავო კონფერენციის უმაღლეს საბჭოს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც იგი სთხოვს პორტუგალიას მისცენ უფლება მოსთხოვოს გერმანიას ომით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურება—სულ 432,058.752 ფრანკი.

**პარიზი.** გაზ. „ახალი დემოკრატია“ არჩევს რა საბჭოთა მთავრობის უარყოფით დამოკიდებულებას ხალხთა ლიგის კომისიის წევრებისადმი, რომელთა მიზანს შეადგენს თანამედროვე რუსეთის მდგომარეობის გაცნობა, კითხვას იძლევა: სად არის მიზეზები დაუსრულებელ გაურკვევლობისა, რომლებმაც მოიცვა რუსეთი? რითი უნდა აიხსნას, რომ ისეთი უზარმაზარი ქვეყანა, როგორიც არის რუსეთი და რომელიც არც თუ ისე შორს არის ჩვენგან, დაფარულია ისეთივე გამოუცნობლობით და საიდუმლოებით, როგორც ეს იყო პეტრე დიდის დროს. წერილის ავტორის ლე კრუეს აზრით, ეს საიდუმლოება აიხსნება იმ პირობებით, რომელშიაც იმყოფება რუსეთის პრესა და ცენზურა. უცხოელ კორესპონდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუშვებენ რუსეთში, თუ იგი წარადგენს შესაფერ რეკომენდაციას. უცხოელ კორესპონდენტს თავის განკარგულებაში მხოლოდ 3 კვირას აძლევენ რუსეთის მდგომარეობის შესასწავლად. უცხოელ კორესპონდენტს აძლევენ დიდებულ ბინას. ყველა ხარჯს გარეშე საქმეთა კომისარიატი ფარავს, მაგრამ უცხოელ კორესპონდენტთან გარეშე პირებს არ უშვებენ. კარებთან დარაჯი სდგას. ყოველ ჟურნალისტს ყავს თარჯიმანი, რომელიც ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩება უცხოელ პრესის წარმომადგენელს. უცხოელ კორესპონდენტის ანგარიშებს გა[illegible] ავტომობილები, დეპეშები და სხ. უფასოდ არის. იძლევიან ფულის დიდ ავანსებს, მაგრამ არც ერთ სტრიქონს არ უშვებენ მკაცრი ცენზურის გაუკეთებლად. ცენზურა ჩიჩერინისა და მისი მდივნების ხელშია.

**ერევანი.** თანდათან ირკვევა ზანგიბასარში მომხდარ ამბების დაწვრილებითი ცნობები. აჯანყების წინ თათრებს გაეგზავნათ ზანგიბასარიდან შარურ-ნახიჩევანის რაიონში ყველა ქალი და ბავშვი, სადაც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თვით აჯანყებულებმაც დაიხიეს. ზანგიბასარის 17 სოფელი სრულიად დატოვეს თათრებმა. ამასთანავე დატოვეს აუარებელი ძვირფასი საქონელი. ხალიჩები, რამდენიმე ასი ათასი ფუთი ფქვილი, ბრინჯი. დატოვებულია აგრეთვე ამიერ-კავკასიის ბონები. თანახმად მიღებულ ცნობებისა, ნაწილი ამ ძვირფას საქონლისა წაღებული ჰქონდათ მათ სომხების სოფლებიდან. მთელი ეს ქონება სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადდება.

**ერევანი.** ოსმალეთის სომხეთის 350000 ლტოლვილისაგან ამ ჟამად 290,000 უკვე მოეწყო სხვადასხვა ადგილას. დანარჩენ ლტოლვილებზე ზრუნვა სახელმწიფომ თავის თავზე მიიღო. მიღებულ ზომების გამო კაგეზმანის მადნეულობის წარმოება წელიწადში ამ ჟამად 2 მილ. ფუთზე ავიდა.

**ბაქო.** რევ. კომ., მოისმინა რა საბინაო კომისიის მოხსენება ბაქოში ჩამოსულ წითელ არმიელების ნაწილების დაბინავების შესახებ, დაადგინა: მთელი ბურჟუაზია გადაასახლოს განაპირა უბნებში და განთავისუფლებულ ბინებში წითელ არმიელები მოათავსოს.

**მოსკოვი.** „იზვესტია“ იტყობინება რომ ომსკის საგუბერნიო ჩრეზვიჩაიკის მიერ დაჭერილია მენშევიკების კომიტეტის მთელი შემადგენლობა. მათ ბრალდებათ არალეგალურად პროკლამაციების გამოშვება, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მოქმედების შესახებ ყალბ ცნობებს შეიცავს.

**ბაქო.** ადერბეიჯანის გზათა მიმოსვლის კომისარიატმა რუსეთის საბჭოთა კომისრებს მიმართა თხოვნით რუსეთის კომისარიატის წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ, რათა შეთანხმებულად შეიმუშავონ ზომები, რომ საბჭოთა რუსეთსა და ადერბეიჯანს შორის რკინის გზით პირდაპირი მიმოსვლა დამყარდეს.

**მოსკოვი.** გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა რადიოთი მიმართა ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს შეკითხვით, როგორი რეალური ზომების მიღებას ფიქრობს ინგლისის მთავრობა იმისათვის, რომ ვრანგელის შემდეგი წინსვლელობა შეაჩეროს. თავის რადიოთი ჩიჩერინი ამბობს: „რუსეთის მთავრობას არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ბრიტანეთის მთავრობის მიერ პოზიციის გამოცვლას ვრანგელის შეტევის მიმართ საბჭოთა რუსეთზე მეტი [illegible] ბოდა რუსეთის და [illegible] ნამდვილ ინტერესებზე და ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთ შეთანხმებაზე, რომ პოზიციის ამ გამოცვლას ადგილი ჰქონდა შეტევის ფაზისში. მართალია მისასალმებელია ბრიტანეთის მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც იგი უარყოფს ვრანგელთან სოლიდარობას, მაგრამ ფაქტია, რომ მისი (ვრანგელის) თავდასხმა არის შედეგი პოლიტიკურ მზრუნველობისა, რომელიც აღმოუჩინა ინგლისმა ვრანგელს თავისი დიპლომატიურ ჩარევით. მართალია, ახლა არა ბრიტანეთის გენერალი, არამედ ვრანგელი ესხმის თავს რუსეთს, მაგრამ იარაღი და ამუნიცია მან მიიღო სწორედ ინგლისის და მის მოკავშირე მთავრობებისაგან. ვრანგელის სტრატეგიული გადაჯგუფება მოხდა ბრიტანეთის და სხვა მოკავშირეთა გემების დახმარებით. საჭირო ქვანახშირი ვრანგელმა ინგლისიდან მიიღო, მოკავშირეთა ფლოტი კი უშუამავლოდ ეხმარებოდა დესანტის გადმოსხმაში. ამიტომ რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გამოარკვიოს ფაქტიურად რაში გამოიხატება ბრიტანეთის მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება ვრანგელის აგრესიულ გამოსვლაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საფუძველი გვაქვს ველოდეთ ბრიტანეთის მთავრობისაგან განსაზღვრულ მუქარას ვრანგელის მიმართ, როდესაც უკანასკნელი წინ ელობება და აბრკოლებს ბრიტანეთის მთავრობას. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო ათავებს ჩიჩერინი, რა დაბრკოლება უშლის კიდევ ხელს საერთო მოლაპარაკებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს სრული შეთანხმებისაკენ.

**ლონდონი.** დაჟინებით ლაპარაკობენ გარეშე საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის სამინისტროდან მოსალოდნელ გასვლის შესახებ. კერზონი ძლიერ უკმაყოფილოა ლონდონში კრასინის ყოფნით და მისი ლოიდ-ჯორჯის მიერ მიღებით. ლორდ კერზონის მდგომარეობა ამ ბოლო დროს ძლიერ გართულდა იმ საშიშროების გამო, რომელიც შეიქმნა ინდოეთში და ოსმალეთში ბალშევიკების აღმოსავლეთის გეგმების გამო.

# შეტაკება ჩვენს მზვერავებსა და წითელ არმიელებს შორის

(გენერალური შტაბის ცნობა).

**თფილისი,** ივნ. 30. გენ. სუმბათაშვილი ლაგოდეხიდან იუწყება: 28 ივნისს 11 საათზე მაზინჩაის მარცხენა მხარეზე ჩვენს მზვერავებს, რომლებიც პოსტზე იდგენ, შეტაკება მოუხდათ. 8 წითელი არმიელი მიუხტა ჩვენს მზვერავებს, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ პოსტების დასაზვერავათ და წინ მდებარე ადგილის დასათვალიერებლად და დიდის გინებით შესძახეს: „ქართველებო, დაყარეთ იარაღიო“. ჩვენმა მზვერავებმა დაიკავეს თხრილი. წითელ არმიელები გადახტენ ცხენებიდან და ჩვენებს სროლა აუტეხეს, მაშინ ერთმა ჩვენმა მზვერავმა ალედაშვილმა თავისიანებს დაუძახა: „[illegible] და მოვკვდეთ, ვიდრე სამარცხვინოთ დავმორჩილდეთო“. ჩვენებმა დაუწყეს მათ სროლა და დასჭრეს ერთი წითელ არმიელი. მაშინ წითელ არმიელებმა გინებით დაიწყეს გაპარვა. დაჭრილი იძახოდა: „გეუბნებოდი მე შენ ლიოშა, რომ ამ ეშმაკებთან არ ღირს შებმაო“.

# ახალი ამბები

◆ **ქალაქის აფთიაქის რევიზია.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ დაიწყო ქალაქის აფთიაქის რევიზია. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე სთხოვს ყველას, ვისაც რაიმე ცნობები აქვს ამ საქმის შესახებ, მიაწოდოს ქალაქის საბჭოს კანცელარიაში 5—6 საათამდე.

◆ **ს. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ.** მეოთხე რაიონული კოლექტ. დასახალხო გვარდიის მეოთხე რაიონის შტაბი სთხოვს ქვემო-აღნიშნულ ამხანაგებს დღეს, საღ. 6 საათზე, გამოცხადენ შტაბისა და კოლექტივის გაერთიანებულ სხდომაზე მეტათ საჭირო კითხვების გასარჩევათ: ავაქოვი ივანე, ხუხუნი გრიგოლი, გორგოსლანიძე ალექსანდრე; კირკაშიძე ივანე, მღვდელაძე თეოფილე, თავდგირიძე მიხეილ, არეშიძე სოლომონ, შათირიშვილი ვარლამ, კიკვაძე თედორე, ბერეჟიანი მიხეილ, დანელია კვები, თევზაძე დავით, ყიფიანი პარმენ, თხილაძე ილარიონ, ქალაჭიშვილი ვლადიმერ, ზაქარიაშვილი ივანე, აბაშიძე გიორგი, ჭუმბაძე ილია, ჩიტოშვილი ნიკოლოზ, ცაბაძე გიორგი, [illegible]რადოვი სერგი, ჩაჩუა მიხეილ, ჩაჩუა არტემ, ებიაშვილი სტეფანე, [illegible]ენაშვილი გიორგი, აბაიშვილი ფილიპე (მინა), მაჩაიძე ნესტორ, ელეუტი ლეონტი (ვიქტორი), ბროძელი ესტატე, ლაღონია მაქსიმე, ჩიჩუა ზაქარია, ლომთათიძე ემელიანე, ნიკოლაიშვილი [illegible], ქარციძე იოსებ, გოშართელი ივანე, ჩანტლიძე ერასტი, ჭასაშვილი ივანე, მეგრელაძე გაბრიელ, მემარნიშვილი ნიკოლოზ, დოლიძე [illegible], მაისურაძე გიორგი, ჭითავა ვიქტორ, [illegible] ყარამან, ბერძენიშვილი კაპიტონ, თავართქილაძე სილიბისტრო, ბუკია აბესალომ, გოგლიძე მიხეილ, ავაქოვი დავით, ინწკირველი ამროსი, საბაშვილი ისაკი, შალიკიანი, გოგუაძე მაკარი, მეფარიშვილი აკაკი, ბესელიძე იოსებ, არჯევანიძე გიორგი, ლოცარია ესტატე, ლომაური იოსებ, გოგუაძე მანასე, ურუშაძე ევგენი, კობალაძე ილია, საყვარელიძე პავლე, რუხაძე ვარლამ, თამაზაშვილი მიხეილ, ფირცხალაიშვილი ილია, ჯაში უშანგი, კახიანი პარმენ, ბებურიშვილი, ცინცაძე ნოე, ცინცაძე გიორგი, დოლიძე კალისტრატე.

◆ **სურსათის შესყიდვა.** მომარაგების სამინისტრომ ნება დართო საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს იყიდოს დასავლეთ საქართველოში ადგილობრივათ დამზადებული საქონელი.

◆ **დღეს, საღამოს სრულ 6 საათ-**

ზე შესდგება 2-რე რაიონის ს. ს.-დ. მ. პ. კოლექტივის ბიუროს ბინაზე კოლექტივის, ყველა მცირე კოლექტივების, ვაგზლის, რკინის გზის და ერთობის უბნის სახ. გვარდ. შტაბის წევრების გაერთიანებული კრება მეტად საყურადღებო კითხვების გასარჩევათ. (ბიუროს ბინა სახალხო სახლის გვერდზე ეზოში).

**თავდაცვის საბჭოს** დადგენილებით ყველა გაშვებულ ჯარის კაცებს საველე მუშაობისათვის უნდა ეძლეოდეთ უფასო ლიტერები.

**იურიდიული დახმარება.** შაბათს, 26 ივნისს, ნაფიც ვექილთა კაბინეთში შესდგა კერძო თათბირი ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა. თათბირის საგანი იყო დაარსება ისეთი ორგანიზაციის, რომელიც იურიდიულ დახმარებას გაუწევს ღარიბ მოქალაქეთ. გამოითქვა სურვილი, რომ მუშათა სასახლეში დაარსდეს მუშებისათვის იურიდიული რჩევის ორგანიზაცია: თათბირმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კონსულტაციაში მონაწილეობა სავალდებულო უნდა იყოს ნაფიც ვექილებისათვის. თათბირმა დაადგინა: მეორე თათბირი მოიწვიოს **ხუთშაბათს, 1 ივლისს.** თათბირი კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. თათბირს უნდა დაესწრონ [illegible] ნაფიცი ვექილები და მათი თანაშემწენი.

**შემოწირულება.** სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველოს შემოსწირეს: ფრონტის კომიტეტმა—15,000 მ., მეთამბაქოეთა კავშირმა—3,000 მ. და საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურმა კავშირმა—10,000 მ. რისთვისაც ბიბლიოთეკის გამგეობა უცხადებს შემომწირველთ დიდ მადლობას.

**ტფილისის საერთო განათლების კურსებზე.** ივნისის 22-ს დამთავრდა სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელის თანადასწრებით დანიშნული სახელმწიფო გამოცდები. კურსების მე-6 და მე-8 კლასების მსმენელთა სიმწიფის მოწმობა ეძლევათ შემდეგ პირებს: აბულაძე გაბრიელი, ასათიანი არჩილი, ასათიანი გერმანოზი, ასათიანი ვიქტორი, ბაღდავაძე ელენე, ბაქრაძე აკაკი, ბაქრაძე კაპიტონი, ბერძენიშვილი მირიანი, ბერძენიშვილი კონსტანტინე, გორდელაძე ნიკოლოზი, გოცაძე კალისტრატე, გოცირიძე დავითი, დავითაშვილი დარია, ვარდიაშვილი დომნა, ვეკუა ივანე, თოფურია ანტონი, კვირკელია მაკარი, კიკნაძე ზაქარია, მათეშვილი გიორგი, მეგრელიშვილი ევპრაქსია, მუმლაძე ნიკო, მიქაბერიძე იოსები, მოსაშვილი ანდრია, ნადირაშვილი გიორგი, პერედერია ალექსანდრე, პეტრიაშვილი იოსები, ქლენტი მირიანი, როსტიაშვილი ზაქარია, სიმონიშვილი სიმონი, ტუღუში მარკოზი, ფიცხელაური ნიკოლოზი, ფირცხელაიშვილი ვლადიმერი, ფიცხელაური ვლადიმერი, ქაჯაია პარმენი, შენგელია დიმიტრი, ჩაიკვაიძე გაბრიელი, ცერცვაძე იაკობი.

**საქართველოს წყლის სამართველო.** მიწათმოქმედების სამინისტროს წყლის განყოფილებას გადაეცა სარწყავ მუშაობისათვის საჭირო თანხა 9 მილიონი მანეთი ყარაიაზის 5000 დეს. მიწის მოსარწყავად. 2 მილიონი ყარაიაზის 15000 დეს. მორწყვის პროექტისა და გამოკვლევისათვის, 3 მილ ფოთის 14.000 დესიატ. ტბების ამოშრობისა და გამოკვლევისათვის და 5 მილიონამდე ფოთის ტბების ამოშრობის საქმის დასაწყებათ. ამას გარდა $1/_{2}$ მილიონი გადადებულია „თეთრი ნახშირის“ აღწერაზე სამუშაოთ, ეს მუშაობა უნდა დასრულდეს 4 წლის განმავლობაში, და 300,000 მ. წყლის მეურნეობის მდგომარეობის ასაწერად.

**სტუდენტთა კოოპერატივში** პლეხანოვის (მიხ.) ქუჩა, № 11 მიიღება საკომისიოთ სახელმძღვანელოები, როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებლების კურსისა. მიღებულია სხვა და სხვა საქონელი ხელმისაწდომ ფასებში. იყიდება ბორჯომის წყალი.

**სურათების გამოფენა.** (რუსთაველის პროსპ. № 13) იხურება კვირას, 4 ივლისს, 7 საათზე. გაყიდულ სურათების მიღება შეიძლება ორშაბათს 10—2 საათამდე.

**რკინის გზის ცენტრალურმა სასურსათო** სარევიზიო კომისიამ ნავთლუღის მამულში „ეკონომია“-ში აღმოაჩინა დიდი ბოროტმოქმედება. ამ ბოროტებასთან კავშირი აქვს მიწათმოქმედების სამინისტროს მოხელეს—სვეტლიკს და მამულის გამგეს გიორგი ფ. ავსარქისოვს. კომისიამ მოითხოვა სასურსათო კომიტეტიდან ავსარქისოვის სამსახურიდან დათხოვნა პასუხისგებაში მიცემით. ვინაიდან აღნიშნული სვეტლიკი ეკუთვნის სხვა უწყებას, ამისათვის მისი საქმე გადაეცა გამოსაძიებლათ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის უფროსს.

**ელექტრონის სადგური გომში.** 1 ივლისს გომის კოოპერატივთა კავშირის თანხით აშენებული ელექტრონის სადგური და წისქვილი გაიხსნება გომში.

**მუშათა ცენტრალური კლუბი.** დღეს ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ ან. შოთაძის, ს. ბეჟანიშვილის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ფოსის დრამა „დამნაშავე“. დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

**კინემატოგრაფი.** ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის კინემატოგრაფში ყოველ შაბათ-კვირაობით გაიმარება საბავშვო სეანსები, ფასები 15—5 მანეთამდე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, კოლექტივის ბინაზე, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 6 ს. დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა. განსახილველია ფრიად სასწრაფო კითხვები. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— პარასკევს, 2 ივლისს, საღამოს 5 საათზე სასურსათო კავშირის ხორცზე მომუშავეთა სექცია იწვევს კალბასზე მომუშავეთა საერთო კრებას. კრება შესდგება მუშათა სასახლეში, ოთახი № 25.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ძირულა.** ივნისის 20-ს აქ მოხდა თემის არჩევნები, ხალხმა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო: ხმის მიცემის უფლება ჰქონდა 1054 კაცს, მონაწილეობა მიიღო 862 კ. აქედან № 1 ს. დ. მიიღო 637, № 2 ერ.-დემ. 225, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია 192 კაცს. ამნაირად სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 15 ადგილი, ერ.-დემოკ. 5. სხვა პარტიებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხალხი მოუთმენელათ მოელის თემის გახსნას და დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

**სოფ. ქვიშხეთი.** განახლდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სამკითხველოს წარმოება. გამოწერილი გვაქვს ჟურნალ-გაზეთები. მადლობას [illegible], რომელმაც ამ საქმეში დახმარება გაგვიწია.

**გამგეობა.**

## ადერბეიჯანიდან ჩამოსულ ტყვე მეა[illegible]-ის ნაამბობი

28 ივნისს თბილისში ჩამოიყვანეს „წითელ“ ადერბეიჯანიდან 58 გვარდიელი და ჯ.-რისკაცები, რომლებიც პირველ ბრძოლის დროს ადერბეიჯანთან ტყვეთ ჩავარდნენ. ჩემს თვითეულ შეკითხვებზე ტყვეებმა გადმომცეს დაწვრილებითი ცნობები, რაც მათ გადახდათ თავზე ტყვეობის დროს.

ისინი უბრალოთ მოგვითხრობენ იმას, რაც პირადათ განუცდიათ და უნახავთ. მათი შეხედვა ადამიანს ჭრუანტელს გვრის. სახე გაფითრებულები აქვთ, თვალებს ძლივს ახამხამებენ. სახეზე ეტყობათ აშკარა ტანჯვის ბეჭედი. ტანზე აცვიათ დაფლეთილი ძონძები, ზოგს ფეხზე არაფერი აცვია. საცვლები ხომ არავის ეცვა.

წინდაწინ რწმუნდები, რომ ამ ხალხს რაღაც დიდი ჯოჯოხეთური წამება გამოუვლია, რომელიც ისტორიას თუ ახსოვს მხოლოდ ძველ საუკუნეების დროს.

მომყავს მათი ნაამბობი:

„ჩვენ ვიყავით გვარდიელების პირველ ბატალიონში; ვიდექით წითელ ხიდის გაღმა 15—20 ვერსის მანძილზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. 15 მაისს საღამოს 7 საათზე უცებ მტერმა მარჯვენიდან მოგვაყარა ტყვიები წვიმასავით.

გავიგეთ, რომ მტერმა მარჯვენა ფლანგიდან შემოგვიარა „ობხოდით“ და, გარს შემოგვერტყნენ. შევიქენით მტრის რკალისგან. ჩვენც რაც ძალი და ღონე გვქონდა დაუშინეთ ტყვიები და უკანასკნელად შევებრძოლეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო და მტერი ისე დაგვიახლოვდა, რომ გვესმოდა მათი ჩვენსკენ მომართული სიტყვები რუსულად, „დაგვნებდით, იარაღი დაყარეთ, თქვენი ამხანაგები ვართო“. ჩვენ ვიცოდით როგორი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ მეტი საშუალება არ იყო, უნდა დავნებებოდით, რაც ძვირად დაგვიჯდა შემდეგში. წაგვიყვანეს ტყვეთ 70 გვარდიელი. იმ ღამეს სირბილით გაგვარბენიეს 12 ვერსამდე, ეშინოდათ, ქართველი ჯარის ხელში არ ჩავარდნილიყვენ.

ღამის 12 საათზე მოგვათავსეს ერთ პატარა ჩამონგრეულ შენობაში, რომელიც ცხენების თავლა აღმოჩნდა; ვერ წარმოიდგენ ჩვენ გაკვირვებას, როცა რუსის წითელარმიელები შემოგვეცვივდნენ და გვიბრძანეს ტანთ გაგვეძრო ყველაფერი, რაც კი გვებადა.

თუ რამ გაგვაჩნდა გაგვაძრეს ტანზე და სრულიად შიშველი დაგვყარეს პირუტყვების ნაგავზე.

ფული, საცვლები, ფეხსაცმელი, ყველაფერი წაიღეს.

ჩვენ გვეგონა დასახვრეტად გვამზადებდენ, ისე მთგვეპყრენ.

გარეთ არ გვიშვებდენ, როგორც გავიგეთ, ვიღაც უფროსს ელოდენ და ტიტვლები არ უნდოდათ ვენახეთ.

დილამდე მშიერ-მწყურვალები ვეგდეთ ნაგავში, დილას კი ბრძანება მივიღეთ ყაზახისაკენ წასასვლელად. ტიტველი ხალხის წასვლა შეუძლებელი იყო და რამოდენიმე დახეული შინელი, გერმანიის ფრონტებზე ნაქონი, გადმოგვიგდეს და გაგვაფრთხილეს—ტიტველი ხორცი არ გამოგვეჩინა.

გზაზე თათრების „ბეჟენცები“ გვხვდებოდენ შეიარაღებული და თოფს გვიღერიებდენ. ბევრი შიგ რიგში ჩაგვერია და ათასნაირ ლაცინვას და ხელით შეურაცხყოფას გვაყენებდენ.

რომ რუსის კონვოებს არა, იქვე „სამოსუდებს“ გვიწყობდენ.

თუ რამდენათ გამხეცებულები არიან წითელი არმიელები, ჩვენ უფრო მაშინ განვიცადეთ, როცა გზაში სეტყვისებურმა წვიმამ მოგვისწრო, და მთელი ორი საათის განმავლობაში დაგვსხეს ტალახზე და წვიმაში გვაჩერეს მშიერმწყურვალნი.

თვითონ კი შეაფარეს თავი გადახურულში. საღამოს 16 მაისს ჩვენ უკვე აქსტაფაში მივედით, სადაც ერთ ბინძურ შენობაში მოგვათავსეს.

მოვითხოვეთ საჭმელი, მაგრამ არ მოგვცეს. მოგვცეს მხოლოდ განჯაში, დაობებული უვარგისი შავი პური თითოს გირვანქა ნახევარი.

განჯაში ჩამოგვართვეს ჩვენება და გაგვამგზავრეს ბაქოსაკენ.

3 დღე არაფერი გვიჭამია, თითონ კი მიირთმევდნენ და ჩვენ შიერებს გვარეკებოდნენ.

ბაქოში ჩვენი მისვლა გაიგეს ქართველებმა, და შეეკრიფათ ფული ჩვენთვის, მაგრამ კაცაცა და ფულიც დააკავეს და მეორე დღეს კომენდანტის სამმართველოში დაგვიბარეს 130 მ. თითოს.

ჩვენ ამ ფულით პური ვიყიდეთ და ცოტა მოვმჯობინდით.

მესამე დღეს გაგვგზავნეს ზღვის პირას რკ. გზის ნავთსადგურში სადაც 900 დენიკინელი დაგვხვდა დატყვევებული. ჩვენც მათში შეგვრიეს და რამდენიმე დღეს დავყავით ერთად.

[illegible]

იქ სხვათა შორის ჩვენ დაგვხვდა 21 კაცი ცხენოსანთა დივიზიის გვარდიელები, რომელიც ჩვენზე ადრე ჩავარდნოდათ ტყვეთ. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩვენ დენიკინელებთან ეროად გაგვგზავნეს კუნძულ ნარგენზე. წასვლისას ჩვენთან მოიდენ სიმონ ფხაკაძე და ლადო აბაშიძე (ოფიცრებია ორივე და მსახურობენ ბოლშევიკების ჯარში) გაგვიბმეს ქართველები და გვითხრეს: „თქვენი დამხმარე არავინ არის, საქართველოს მთავრობამ თქვენ გაგყიდათ, ალბათაა, მათი წარმომადგენელი თქვენზე არ ზრუნავს, საქართველოში გლეხები აჯანყდენ და სულ ერთია, ხვალ თუ ზეგ ტფილისში ვიქნებითო. ჩვენ ვაწყობთ ქართულ პოლკს და თქვენთვის კარგი იქნება, ჩაეწერეთო, საჭმელი, სასმელი და ყველაფერი გექნებათ. საქართველოში ყველას მეფურად გაცხოვრებთ. ჩვენ მტკიცე უარი ვუთხარით ჩაწერაზე და საქართველოს წინააღმდეგ წასვლაზე.

ბევრი იმაცადინეს ხსენებულმა პირებმა თუ მოფერებით, თუ მუქარით, მაგრამ ჩვენზე ვერ გასჭრა.

მშივრებს გვიხდებოდა კუნძულ ნარგენზე ვამგზავრება, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც ფული და სხვა საჭირო ნივთები მოგვაწოდა.

ეს იყო ქ-ნი ეკატერინე ტყემალაძის ქალი, რომელიც შემთხვევით ბაქოში ჩამოსულიყო და გადატრიალების გამო ბაქოში მომწყვდეულიყო.

კუნძულ ნარგენზე ჩვენ დიდი წვალება გავიარეთ.

გვაჭმევდენ ტარანის თავებს და ხანდახან ნახევარ გირვანქა პურს გვაძლევდენ, წყალიც კი პორციობით გვეძლეოდა. იქ არის ძველი დროის აშენებული კაზარმები. რამოდენიმე შენობა დანგრეულია. ჩვენ, გვაზიდვინებდენ ნანგრევ ქვებს, დაგვაწყობიებდენ ერთ ალაგას, მეორე დღეს დაწყობილ ქვებს მეორე ალაგას დაგვაწყობიებდენ და ამ რიგად პირუტყვებივით გვათამაშებდენ. ხანდახან „დაროჟკებს“ გვაკეთებინებდენ, მორიგე არმიელმა უნდა იაროსო—თქვენსავით კი არ უვლით ჯარისკაცსო—გვაყვედრიდენ. ვინ იცის კიდევ რაები არ მოიგონეს და არ შეგვასრულებიეს.

ჩვენთან კიდევ ოფიცრებიც იყო, რომელთაც იგივე გასაჭირი გადაიტანეს.

ასეთ მდგომარეობას განვიცდიდით 20 ივნისამდე, რომ გავიგეთ საქართველომ ზავი შეჰკრა ადერბეიჯანთანო.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ყოველ წუთს ველოდით განთავისუფლებას.

21 ივნის, ჩვენთან ხელმეორედ მოვიდა აბაშიძე და ფხაკაძე, განმეორებით მოგვთხოვა მათთან დარჩენა, მაგრამ ჩვენ უარით გავისტუმრეთ.

როცა ზავის გამო ჩვენ ბაქოსკენ გაგვაბრუნეს, ჩვენ საშინელი სურათი ვნახეთ.

არსად მაღაზიები ღია არ იყო.

ბოლშევიკებს ყველაფერი გაეზიდათ. რაც დარჩა, დაებეჭდათ.

ლენინს 28 ვაგონი საჩუქარი გაუგზავნეს, რის შემდეგ, ყველაფერი გაქრა ბაზრიდან, თუ რამ იშოვებოდა, საზღაპრო ფასებში იყიდებოდა, მაგალითად: 1 გირ. პური თეთრი ღირდა წინეთ—25 მან. ეხლა 150 მ., პაპიროსი უწინ ღირდა 18 მ., ეხლა—350 მ., კოჭის ძაფი—600 მ., ჯარისკაცის საცვლები—3000 მ., ნახმარი „ბატინკები“—10,000 მ., შაქარი ერთი გირვანქა—1000 მ. ასეთი სიძვირეა დღეს იქ და ფულიც რომ გქონდეს, ვერ იშოვნი.

„ჩრეზვიჩაიკის“ თავმჯდომარეთ არის მატროსი პანკრატოვი. ღამე არ გავა მისი წყალობით 100 კაცი არ დახვრიტონ.

პანკრატოვი ეს ნამდვილი ჯალათია, დაინახავს ვისმეს ქუჩაში თუ არა, უბრძანებს არმიელებს გამოგზავნეთო და ის უკვე უნდა ელოდეს დახვრეტას.

დღემდის „ჩრეზვიჩაიკის“ წყალობით 3000 კაცი იქნება დახვრეტილი.

ხვრეტენ ხალხს უმიზეზოთ.

ქუჩაზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო აფიშამ, რომელზედაც დახატული იყო კარიკატურა ე. გეგეჭკორის. სურათი ასეთი იყო: გეგეჭკორი სადილს სჭამს და ხელში ჩანგალი უკავია.

გაიგებს თუ არა ადერბეიჯანის ომის გამოცხადებას, საქართველოს წინააღმდეგ, ხელიდან ჩანგალი გაუვარდება და გლეხებს და მუშებს საომრათ მოუწოდებს, მაგრამ ხალხი მას არ უჯერის და გეგეჭკორს მარტო უხდება ფოილოს ხიდთან ბრძოლა ზარბაზნებით. ბოლოს ასეთი წარწერა იყო:

„Нашъ Евгеній побѣжалъ, на станціи Пойлы, забралъ всѣ пушки, дуло пушки вверхъ поднялося...“

ასეთი კარიკატურებით იყო აჭრელებული აფიშები, რომ უცებ მდგომარეობა შეიცვალა და ზ. ორჯონიკიძე შემდეგ ამბობდა: „მე ვკვირობ, რომ ასე უცებ შევძელით ბაქოს აღება, მაგრამ მე მეძნელება ვიფიქრო საქართველოს ასე ხელის დაკვრით დაძლევა, რადგანაც ქართველები თუმცა ცოტანი არიან, მაგრამ ვაჟკაცური მეომარი ხალხიაო. [illegible] და გეგეჭკორის წინააღმდეგ [illegible] პროვოკაციას ეწეოდენ. ეს ორი [illegible] ნიშანში ჰყავდათ ამოღებული და [illegible] იცის, რას არ ავრცელებდენ მათ წინააღმდეგ.

რუსის წითელ არმიელები საზარელ [illegible] აბდენს ჩვენზე.

ტანს არაფერი აცვიათ და ფეხს.

ძლიერ ბინძურად ცხოვრობენ.

ბაქოში შემოსვლის დროს იტალიური სამხედრო ტანისამოსი იყო და ის [illegible], მაგრამ ბევრი მაინც ძველ მდგომარეობაში დარჩა, რადგანაც ყველას სამყოფი არ იყო.

ასეთია საერთო სურათი. წამოსვლისას ვინახულა ალშიბაიამ, რომელმაც გადმოგვცა ფული და სხვა სანოვაგე. [illegible] ავეიხსნა მდგომარეობა და ჩვენი წამოსასვლელი ქაღალდებიც გამოადო.

დიდი მადლობით ვიხსენებთ ჩვენ ქ-ონ ტყემალაძეს, რომელმაც წამოსვლის დრომდე არ დაგვაკლო დახმარება და დედობრივი მზრუნველობით მოგვეპყრა.

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საზღვარს გადმოვცილდით, ეხლა ჩვენ ყველა ამხანაგები მზათა ვართ არ დავზოგოთ ჩვენი სიცოცხლე მათ წინააღმდეგ.

ეხლა მართლაც რომ დავრწმუნდით, თუ ვინ არიან წითელ არმიელები“. ასეთი იყო უკანასკნელი სიტყვები გვარდიელებისა.

**გალო სკლიარი.**

## სალამი ბათომს

სალამი ბათომს, ჩვენ [illegible] მხარეს,
ქართველი ერის ოცნების საგანს,
მის ნეტარებას, მის [illegible]ხარეს,
თავისუფლების კერას და აკვანს!

მოვდივართ, მოგვაქვს დროშა წითელი,
თეთრი გიორგი მოგ[illegible]ვის წინა!..
დე ჩვენი განცდით [illegible] სკვითელი,
შენს წიაღში რომ დაუდევს ბინა!

კმარა მონობა! მშობლის ალერსმა
თავისუფლების მზე დაგაყაროს,
რომ გაიხაროს გულმა ნაგვემმა,
შეეხმატკბილოს შენს სამყაროს!

**ვ. რუხაძე.**

## ბიბლიოგრაფია

**ნოე ჟორდანია. ტომი I,** გამოცემა ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა.

[illegible] ხარულით შეეგება ნოე ჟორდანიას თხზულებათა გამოცემას. უკვე გამოვიდა პირველი ტომი, რომელშიაც მოთავსებულია ავტორის 1894—5 წლის ნაწერები. ეს წერილები პირველი სერიოზული გამოსვლაა მარქსიზმისა ქართულ მწერლობის ასპარეზზე. როდესაც ამ წერილებს კითხულობთ, ადვილათ მიხვდებით, რა ალიაქოთი უნდა გამოეწვია მათ ქართულ საზოგადოებაში და რა აღშფოთება და მძულვარება უნდა აღეძრა მათ ავტორისადმი ჩვენს ლიტერატურაში გამეფებულ ჯგუფის გულში. არ არის არც ერთი იდეური ღირებულება, რომელსაც ინდობდეს ნორჩი ავტორი, და რომელსაც ახალგაზრდულის სითამამით არ დასტაკებოდეს და მიწაზე არ განერთხოს.

ყველა ტრადიციული, შეჩვეულ-შეთვისებული აზრით, რომლის სიმართლეშიც აქამდის ეჭვი არავის შესვლია, დასაწუნი და გადასაგდები გამოდგა ახლად გამოსულ პუბლიცისტის ხელში. ის რაც ძველ თაობას ასე უყვარდა და რითაც იგი ასე კმაყოფილი იყო, თურმე ილუზია, თავის მოტყუება ყოფილა. მაგალითად, მთელი 80—90 წლების ინტელიგენცია აქამდის დარწმუნებული იყო, რომ კაპიტალი არის უარყოფითი ძალა, რომლის ფეხის შემოდგმას მთელი ჩვენი ძალღონით უნდა შევებრძოლოთ. მაგრამ გამოდის ვიღაც ჯერ სულ უცნობი ახალგაზრდა და ამტკიცებს: კაპიტალს პროგრესი შემოაქვს ჩვენს დამყაყებულ ცხოვრებაში და მისი შემოსვლა სასურველიაო.

აქამდის ჩვენი ინტელიგენცია შეურყევლად იყო დარწმუნებული, რომ კაპიტალს ჩვენში არც აქვს ნიადაგიო. მაგრამ ნ. ჟორდანია, ეს აბეზარი შვილი, ასწავლის მამებს, რომ კაპიტალი მათ უკვე შემოეპარათ, რომ მან უკვე დიდი ხანია ფეხი შემოდგა და მის გაეფებას ვერავინ აგვაცილებსო.

მამები ფიქრობდენ: ჩვენი სამოქმედო პროგრამა სოფლად არის, სოფლის მეურნეობის სფეროშიო; მათ სძულდათ ქალაქი, უყვარდათ სოფელი. მაგრამ შეუბრალებელი ნოე ჟორდანია უფრთხობს მათ ამ ტკბილს სიზმარს და უმტკიცებს: არაფერი კარგი თქვენებურ-ძველებურ პატრიარქალურ სოფლის ცხოვრებაში არ არის, პირიქით, ქალაქში ინთება მომავლის სინათლეო.

მამებს უყვარდათ ის აზრი, რომ საქართველო რაღაც განსაკუთრებული ქვეყანაა, სადაც ყველა კლასები და წოდებები თანხმობით ცხოვრობენ და ერთნაირ ეროვნულ ჰპანს ეწევიანო. ახალგაზრდა პუბლიცისტი სწორეთ ამ თანხმობას იწუნებს და ამბობს: რაც უფრო ძლიერია კლასთა ბრძოლა, მით უფრო წინ წასულა საზოგადოება; კლასთა ბრძოლის სისუსტე საზოგადოების დაქვეითების მაჩვენებელიაო. იგი ამტკიცებს, საქართველოც სხვა ქვეყნებივით დაწინაურდება და ის ჰარმონია, რომელიც მხოლოდ ხალხის დაბეჩავების მაჩვენებელია, დაირღვევა და ჩვენშიაც ბრძოლის ყიჟინა დატრიალდებაო.

ერთი სიტყვით, არ რჩება არც ერთი სანუკვარი აზრი, რომელიც დაუნდობლათ არ გაეტარებინოს ახალგაზრდა პუბლიცისტს კრიტიკის ქარცეცხლში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ უნდა დაფანტულიყვენ აქამდის კმაყოფილებით მხართეძოზე წამოწოლილი და ოცნების სამეფოში მონავარდე მამები. ისინი ჯერ ცდილობენ თავის ავტორიტეტით ჩააჩუმონ თამამი ახალგაზრდა, მაგრამ ის მეტათ შეუპოვარი გამოდგა. მამები ცდილობენ გონებას დაატანონ ძალა და ლოღიკით დასძლიონ „უძღები შვილი“. მაგრამ აქედანაც არაფერი გამოდის, რადგან მათი ლოღიკა სრულიად უმწეო გამოდგა ნორჩი პუბლიცისტის მკვეთრ ლოღიკასთან.

ახლად გამოსულ წიგნში მკითხველის თვალწინ ხდება ეს ბრძოლა. იგი სიამოვნებით ადევნებს თვალყურს ღონიერ ახალგაზრდის მოხდენილათ ჩაქუჩის აქნევას და თვალდათვალ ხედავს, რომ თითო აქნევაზე ნამტვრევებათ იქცევა მამების მიერ აგებული ოცნებათა ხუხულა.

ნოე ჟორდანია ერთბაშად შეიარაღებული გამოდის ბრძოლის ასპარეზზე: ძლიერი ნიჭის გარდა, რომელიც მის ყოველ სიტყვაში სჩქეფს, იგი ეყრდნობა თავიდანვე ზედმიწევნით შეთვისებულს მარქსისტულ თვალსაზრისს. გარდა მარქსის და ენგელსის ნაწერებისა მას კარგათ წაუკითხავს და კარგათ შეუთვისებია უკანასკნელი სიტყვა რუსმარქსისტებისა, მეტადრე ბელტოვი და პ. სტრუვე, მაგრამ ნიჭიერი მოწაფე მონურათ არ დამორჩილებია ამ უკანასკნელთ: მიუხედავათ იმ დიდი სახელისა, რომელიც მოხვეჭილი ჰქონდა იმ დროს პეტრე სტრუვეს ახლად გამოსულს წიგნს, ჩვენი ავტორი უკვე ამჩნევს მასში სწორედ იმ მთავარ შეცდომას, რომელიც შემდეგში პ. სტრუვესათვის, როგორც მარქსიზმის მოციქულისათვის, მართლაც დამღუპველი გამოდგა.

პირველ ტომში ოთხი დიდი წერილია მოთავსებული. გარდა ამისა წიგნს დართული აქვს ორი წერილი სილ. ჯიბლაძისა და ერთი წერილი ყარიბისა ამ წერილებიდან მკითხველი ადვილათ ითვალისწინებს იმ ატმოსფერას, რომელიც გამეფებული იყო მარქსიზმის პირველ ფეხის ადგმის დროს ჩვენში. რაც შეეხება წიგნის გარეგნობას, იგი კოპწიათ არის გამოცემული. გამომცემელს არ დაუკლია არც შრომა, არც მეცადინეობა, რომ წიგნი სასიამოვნო წასაკითხი იყოს. მშვენიერია ქაღალდიც, შრიფტიც. ჩვენ არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ წიგნი არ არის დაბეჭდილი ისეთის ქონომიით, როგორსაც ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ამ კრიზისის დროს: ჩვენის აზრით, ნოე ჟორდანიას ნაწერებს უფლება აქვთ, რომ მათს ლამაზად გამოცემას რამდენათმე მსხვერპლად შეეწიროს ყაირათიანობა. [illegible] ნებს, რომლებიც გააკეთა ამხ. ს. ელიაძემ წიგნის გარეგნულ ფორმის შესახებ. ეს მით უმეტეს, რომ მიუხედავად ყველა ამისა, წიგნის ფასი მაინც უნდა ჩაითვალოს ძლიერ ზომიერად: 330 გვერდიანი მშვენიერ ქაღალდზე გამოცემული წიგნი ღირს ასი მანეთი.

ერთად ერთი დეფექტი, რაც ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ ახალ გამოცემულ წიგნში, ის არის, რომ იგი ვერ არის კარგათ აკინძული და წაკითხვის დროს იგი იშლება, ფურცლები შიგნიდან ვარდება. ეს ისეთი დეფექტია, რომელიც ადვილათ იქნება აცილებული მეორე ტომის გამოსვლისას.

**ლ. ნ.**

## საერთაშორისო სავაჭრო პალატა

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის ამასრულებელმა პროფესორმა ავალიანმა საქარ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საკითხის შესახებ სთქვა რომ, როგორიც არ უნდა იყვეს ამ პალატის მიზნები, მისი დაწესება მაინც საჭიროა. თანამედროვე სავაჭრო მოქმედებამ, თვით სავაჭრო ოპერაციების ხასიათმა, ისეთი ფორმები მიიღო, რომ ყოველგვარ დაწესებულებას, რომელიც კი მის მოწესრიგებას თავის თავზე აიღებს, ჩვენ უნდა მივესალმოთ, თუ პალატა იკისრებს მხოლოდ იმ საკითხების დამუშავებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანგრეულ წარმოების აღდგენასთან და დაიწყებს იმ საკითხების გამოკვლევას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სავაჭრო-მრეწველობის მოქმედებასთან, ესეც კი, დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ხასიათის მქონე ორგანიზაციების დაწესებულებაში, არა მარტო ეკონომიური არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც. საქართველო უნდა შევიდეს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში, როგორც თანასწორი წევრი, მაგრამ ძნელია იმაზე დაყრდნობა და ფიქრი, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატა მოსპობს სპეკულიაციას, თუ მოშორებული არ იქნა სპეკულიაციის გამომწვევი მიზეზები.

თუ შეიქმნა ის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოების აღდგენას და საწარმოვო ძალთა განვითარებას, სპეკულიაცია თავის თავად მოისპობა. პალატის უახლოესი მიზანი კი სწორედ წარმოების აღდგენისათვის ხელის შეწყობა იქნება. (სდს)

## სასურსათო საქმის მოწყობა

ტფილისში დაბრუნდა ბორჩალოს მაზრაში წასული ბ. ადანაია, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისისათვის პურის დამზადება, მან საქ. დემ. სააგენ. თანამშრომელთან საუბარში სთქვა, რომ იგი ბორჩალოს მაზრაში იყო წასული ტფილისისათვის პურის დასამზადებლათ. ადანაია მოელაპარაკა სამაზრო ერობას, რომელიც მას შეპირდა დახმარებას ხორბლეულობის ყიდვაში. დამზადების საქმეში ჩაითრევენ კოოპერატივებსაც, რომელთანაც ერობა აწარმოებს მოლაპარაკებას.

ადანაია ფიქრობს, რომ ძნელი იქნება კერძო პირების, დაუხმარებლობაო და ამიტომ საიმედო პირები უნდა მოვიწვიოთ და ქალაქის საწყობში მოტანილ ყოველ ფუთ ხორბალზე განსაზღვრული ჯილდო მივსცეთო. მიზნათ აქვთ მოაწყონ ორი საწყობი სანდარში და აშაგასარაში. სამაზრო რწმუნებული შულავერში იქნება. მცხოვრებთ მისცემენ პირველი საჭიროების საგნებს, ჩაის, მარილს, წუმწუმას, მანუფაქტურას და ნავთს. ამ საგნების განაწილებას ადგილობრივ ითავებს, ალბათ, ერობა, იმ პირობით, რომ ამ საქონლის ეკვივალენტი ქალაქს ხორბლის სახით დაუბრუნდება. საჭიროების დროს განსხვავებას ფულით გადიხდიან. ბორჩალოს მაზრა ტფილისს მისცემს ალბათ 100 ათას ფუთ ხორბალს. დანარჩენ ხორბლის შესყიდვა დაგვეჭირდება ალბათ ჩრდილო-კავკასიაში. სხვათა შორის, ბ. ადანაიამ აღნიშნა პურზე ფასების დაწევა ბორჩალოს მაზრაში, სადაც 1200 მანეთიდან ფუთი პურის ფასი 700 მანეთამდე დაეცა, რაც უმთავრესად მოსავლის მოყვანით აიხსნება. მომავალში ეს ფასები კიდევ უფრო დაეცემა.

## წერილი კავკავიდან

23 მარტს დენიკინის ჯარმა დასტოვა კავკავი. 24—25 კავკავში მთავრობა არ ყოფილა, იყო საზარელი თოფის სროლა ინგუშებსა და ოსების მხრიდან, ვის ესროდნენ—კაცმა არ იცოდა. მტერი არსად იყო. გაიგეს მთებში დამალულებმა მორდევცებმა და ტასუომ; ჩამოვიდნენ კავკავში და შეუდგნენ ოლქის საქმეებს. შეადგინეს თერგის ოლქის მთავრობა. 28 შემოვიდნენ ცხინვალელი ოსები სადგურ ბესლანში დაახლოვებით 600 კაცამდე, ყველანი უიარაღონი, რომლებსაც ყოველ დღე ემატებოდა საქართველოდან წამოსული ოსები. ოსების მთავარ-სარდალი იყო ყოფილი შტაბს კაპიტანი [illegible] სანიკოევი, (ადგილობრივი მცხოვრებნი მათ ეძახდნენ სიმშვიდის დამმყარებელს) რომელიც საცილოდ ჰყავდათ ავდებული. ამას ისინიც გრძნობ[illegible] ხალხს რომ ასე [illegible] დაცინვა არ გაუბედნიათ, [illegible] სხვა ზომები: დაატუსაღეს 27 კაცი იმ დღეს, თვითონვე გაასამართლეს; მოსამართლეებათ იყვნენ: 1) ნესტორ კონუშევი 2) ? კონუშევი (რომელსაც ჰიათურის სამოქალაქო სასწავლებელი აქვს გათავებული 1917 წ.). სასამართლოს თავმჯდომარეთ თვით მათე სანიკოევი იყო. სანიკოევი მოითხოვდა 27 ვე დაიხვრიტათ, როგორც კონტრ-რევოლიუციონერები, მხოლოდ ორი წევრი უარზე იდგნენ და ამბობდნენ, რომ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას ვერაფრით ვერ ვამტკიცებთ და მერე ვაი თუ უფრო საფრთხეში ჩავარდეთ და აქაურმა ხალხმა გადაგვიხადოსო. მათემ მაინც თვისი გაიტანა და 3 კაცი დახვრიტა საღამოს 5 ს., დანარჩენები კი გაგზავნა კავკავის ციხეში, რომლებიც მალე იქნენ განთავისუფლებულნი, - როგორც უდანაშაულონი.

უმეტესობა ოსებისა სანიკოევს აგინებდა. დაგვპირდა, წამოდით ტანისამოსს მოგცემთო, ჰირნახულს და თოფებსაო და მერე საქართველოს მთავრობას დავამარცხებთო. წამოვედით და არაფერს კი არ გვაძლევენ. მე შევეკითხე: რამ გაიძულათ, რომ სუყველა წამოდით-მეთქი (ამას ველაპარაკებოდი კავკავის სადგურზე). იქ, საქართველოში გამოაცხადეს ჩვენმა მეთაურებმა მობილიზაცია 19—32 წლამდე. ვინც არ წამოვიდოდა,—ოსების მხრივ ბოიკოტი ეცხადებოდა და ასეთი ძალ დატანებით წამოგვიყვანესო. მაგათი პირობით ჩვენ აქ უნდა დავრჩენილიყავით ხუთი დღე. ახლა კი აგერ ორი კვირა გვიხდება და არაფერს გვეუბნებიანო. ოსები იყვნენ უმეტესობა ცხინვალიდან, საჩხერის მხარიდან, რაჭიდან და 4 კაცი ბორჯომელი სოფ. გუჯარეთიდან; კაბალიდან: სოფ. ალექსეევკიდან, ფიჩხი ბოგირიდან და ხოშატიანიდან; დაახლოვებით 15 კაცამდე იყო. ოსები დარჩნენ იქ 2 თვეზე მეტი. საქართველოში რომ მობილიზაცია გამოცხადდა ოსებს გარდა ქართველებიც მოემატა სოფ. გლოლიდან (რაჭის მაზრა) 40 კაცი ჩაეწერა მათთან ასე რომ ბოლო ხანებში 2500 კაცამდე შეგროვდა.

მოსკოვის ზავის შესახებ ცნობა რომ მოვიდა,—ოსებმა პროტესტი გამოაცხადეს და გაუგზავნეს საბჭოთა მთავრობას მოსკოვში დეპეშა შემდეგი შინაარსის: „ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის ოსებს მოგვწყინდა ბურჟუებთან ცხოვრება; ჩვენ ვართ წმინდა პროლეტარიატი და გვსურს ცხოვრება რუსეთის გამარჯვებულ პროლეტარიატთან, გთხოვთ შეგვიერთოთ.“

დეპეშის გაგზავნის ინიციატორები იყვნენ მათე სანიკოევი და კვირკველია, რომლებსაც ძალიან საწყენად დარჩათ ზავის ჩამოგდება. ისინი არ მოელოდენ ამ ზავს და სახტად დარჩნენ, როცა გაიგეს უცბათ, რომ ზავი ჩამოვარდაო. ზავის ცნობის მიღებამ ჩაფუშა მთელი მათი გეგმა საქართველოზე გამოლაშქრებისა და რომ ზავის ცნობას დაეგვიანებოდა, ეჭვი არაა—დაიწყებოდა ომი და შეტაკებები, და საქმე მეტად გართულდებოდა. ეს უნდოდათ, ამისთვის ემზადებოდნენ და ზავმა ყოველივე ეს ჩაშალა, დროებით მაინც. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება მოსკოვისადმი და კერძოთ ქართველებისადმი. ხშირათ გაიგონებდით: ქართველებმა მოატყუილეს მოსკოვიო და სხვა. პასუხი

დეპეშისა არ ვიცი. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ ოსებს დაურიგეს იარაღი; სანოკოევმა მიიღო ორმოცი მილიონი მანეთი და გამოსწიეს ისევ შიშველ-ტიტველებმა ალაგირისაკენ.

მათემ დაიქირავა ჩრდილოეთ საქართველოს ოსები დარკოხიდან, ნოვოხრისტიანოვკიდან, არდონიდან, ალაგირიდან, ნიუზალიდან, ზამაკულიდან ყლეთიდან და მამისონის საზოგადოებიდან. დაქირავებულებს თითქმის სუყველას ვიცნობ, სახელი და გვარი ორის: ბოგრაევი ერთის გვარი და მეორესი მამისონიდან ალექსი ჰქვია, რომლის სახლიც კი ვიცი.

4 აპრილს რუსეთიდან მოვიდა ბ-ნი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც არ იცნო საქართველოს ელჩი და როგორც ელჩს არც დაელაპარაკა. ელჩმა უთხრა, როგორც აქედან წავალ, საელჩო დახურული იქნებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ელჩი გამოემშვიდობა და შეეკითხა, დაჭერილი ხომ არ იქნებოდა. ორჯონიკიძემ გაიკვირვა და უთხრა, როგორ გეკადრება, რისთვის უნდა დაგაკავოო. დაშორდენ ერთი მეორეს ღამის 11 საათზე. შუაღამის 12 საათზე იმ ღამესვე დაატუსაღეს ელჩი მაჩაბელი და დამფუძნებელი კრების წევრი ფალავა ორჯონიკიძის განკარგულებით და გამოაცხადეს „ზალოჟნიკებათ“ (მძევლებათ). ორჯონიკიძემ გასცა ბრძანებები, თვითონ წაბრძანდა ბაქოსაკენ, საქართველოში მივდივარ ბაქოდან, რადგან სამხედრო გზით საშიშია წასვლაო. 5 აპრილიდან შეუდგენ რეკვიზიცია-კონფისკაციას. პირველ რიგში ჩამოართვეს პატრონებს სასტუმროები თავისი მოწყობილებით, მერე მაღაზიები, შემდეგ სასადილოები, ოთახები მცხოვრებთ და სხვა.

კავკავში რომ უცხო კაცი მივიდეს, თუ კომუნისტის მოწმობა არ აქვს, ღამეს ვერ გაათევს, თუ ნაცნობი არ ჰყავს. მაღაზიები დაცალეს. თუ რამე იყო, სულ მოსკოვს გაუგზავნეს საჩუქრად. შემდეგ შეუდგენ ოჯახების ჩხრეკას. ვისაც კი ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკები,—ჩამოართვეს. გამოჩენილმა ვექილმა პროფესორმა ბემემ ტირილი დაიწყო, როცა მისი ვეებერთელა სამკითხველო გამოიტანეს. ბევრი ეხვეწა, მაგრამ ამაოთ.

ამის შემდეგ დაუბრუნდენ ისევ ოჯახებს. წაიღეს: რბილი დასაჯდომები, სკამები, მაგიდები, კარგი სურათები, ჭურჭლეულობა, დანა-ჩანგალი, კოვზები, სალფეთქები, ჩაის ჭიქები, საცვლები, ტანისამოსი, ოქრო-ვერცხლეულობა კი სულ მიჰქონდათ, აღარ სტოვებდენ (მართალია, გამოცხადებული იყო: თუ ორდერი არ გიჩვენონ დააკავეთ და წარმოადგინეთო). ფულს 10.000 მანეთზე მეტს ვისაც უნახავდენ, მიჰქონდათ: ეს ბურჟუაზიააო.

მოგახსენებთ უკანასკნელ დროის ფასებს გირვანქობით: პური—90 მ., ქვეღი ლობიო (ახალი არ იყო)—180 მან., ხორცი—150 მ., ცხვრის ხორცი—250 მ., ყველი—500 მ., „სალა“ (ღორის ქონი)—500 მ., ბუბლიკი—300 მ., ახალი კართოფილი—40 მ., ბრინჯი—350 მ., მაკარონი—350 მ., წიწმატი კონა—45 მ., ტარხუნა—45 მ., ახალი მწვანე ხახვი (ხუთი თავია კონაში)—40 მან., კვერცხი თითო—25 მ., კარაქი—850 მ., გირვანქა მარილი—40 მ., ნავთი—52 მ., ძაფი კოჭა—500—600 მ., ნემსი—10 მ., ცხვირსახოცი თუ იშოვნე—300—400 მ., მიტკალი (მაისში კიდევ იშოვებოდა, ეხლა ვერ იშოვნი) არშინი—1200 მ., კოლოფი „სპიჩკა“—55 მ., კოლოფი პაპიროსი—25 ცალი იქაურ ფულზე—250 მ., თფილისსაზე—400 მ., თამბაქო გირვანქა—1500—4000 მან., (სამ ხარისხად არის დაყოფილი).

ასეთია ფასები დღეს კავკავში.

**ილია პერევისელი.**

## რას მოითხოვს სოფელი?

(საკანონმდებლო ორგანოს საყურადღებოთ).

სოფელს ძლიერ აინტერესებს მიწის საკითხი: და როცა დღეს ამ რეფორმის გასატარებლათ გაცხარებული მუშაობაა, სოფელიც იმაღლებს ხმას და სააგრარო კომისიებთან ხელი-ხელი ჩაკიდებული ცდილობს რაც შეიძლება სამართლიანათ განაწილდეს მიწები. მთელი მისი გულის ყური აქეთაა მიმართული. მაგრამ რაც უფრო საამაყოა,—ეს ის, რომ სდგას სრული სამართლიანობის გზაზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენი სოფელი ჩვენს ქალაქს,—ჩვენი სოფლის მუშაკნი ქალაქის პროლეტარიატს არ განშორდება კიდევ დიდხანს საერთო მუშაობის გზაზე. ეს ფრიად სასურველი და საამაყოა... რუსეთის სოფლებმა დაამშია, ილაჯი გამოაცალა ქალაქს. ჩვენი სოფელი საჭიროების დროს მზათ არის საკუთარი ლუკმა გაუნაწილოს ქალაქს.

მან იცის, რომ ქალაქის მუშები ეს მისი მოწინავე ამხანაგებია, და მას ვერ წარმოუდგენია ბრძოლა მათ გარეშე. ისინი კავშირდებიან; და ამ კავშირშია მთელი სიღრმე დემოკრატიზმისა. მე მოვისმინე მათი ლოღიკური, უბრალო ენით მსჯელობა; ეს ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა. სოფელი ამბობს,—ეხლა მთავრობა ჩვენია, ამიტომ უნდა ვეცადოთ მისი სამოქმედო პრინციპების შესწავლა-გათვალისწინება. რამდენათ მიზან შეწონილათ ტარდება ყველა გადასახადები,—იმდენათ ჩქარის ნაბიჯით გაჯანსაღდება ჩვენი მდგომარეობა. ჩვენი მოვალეობაა შევაგნებინოთ ეს ყველას. დე, ნუ რავინ აიხვევს თვალს. ჩვენი თვალ-ხედვა გარკვეული უნდა იყოს. წინ გვიდევს კულტურის ვერანდები, ეს ჩვენ ხელთ უნდა ჩავიგდოთ, ღირსეულათ დავეპატრონოთ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აქვს გაცემული საიჯაროთ 10—15 წლის წინათ სხვა და სხვა მამულები, რომლებზედაც ეხლა მომხმარებელი იხდის სასაცილო მცირე ფასს. მაგალითად მე შევხვდი ერთს შემთხვევას, სადაც ორი დესეტინა ბაღში მომხმარებელი იხდიდა და იხდის 20 მანეთს, რადგან პირობა 8—10 წელი არის, რაც შეკრულა. ასეთი მრავალია. სადაც სახელმწიფო დღეს რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთს უნდა იღებდეს,—იქ მისი შემოსავალი სულ რაღაც 2—3 მილიონით განისაზღვრება. როცა ამ საკითხს პირდაპირ უყენებს სოფელი ასეთ პირებს, ისინი თავს იმართლებენ: „რა ვქნათ, მთავრობა ფასს არ გვიმატებსო“. აქ გაუგებრობაა. სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ ვიცით, რომ შესაფერი კანონ პროექტი მთავრობის მიერ უკვე გადაეცა საკანონმდებლო ორგანოს. საჭიროა ამ საქმის დაჩქარება. სოფელი თვალყურს ადევნებს ამ მტკივან საკითხებს. აქ სადაო არაფერია: იურისდიქციამ ადგილი უნდა დაუთმოს ცხოვრების მოთხოვნილებას, სინამდვილეს, სამართლიანობას; მან კი უნდა დააკანონოს!

**მ. ხუხუნაიშვილი.**

## სენატში

სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების 1920 წლის 1 ივლისის სხდომისთვის დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) საჩივარი სევასტი გიორგის ძე ჩხეიძისა მიწად-მოქმედების სამინისტროს დადგენილებაზე—შესახებ მამულისა სოფ. თვრინაში (შორაპნის მაზრა).

2) საჩივარი რაჟდენ ვასილის ძე ბუაძისა, სამხედრო სამინისტროს დადგენილებაზე, ჯარის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ, მის სახლზე 1918—1919 წლებში ქალაქ ქუთაისში.

3) საჩივარი დიომიდე მალხაზისძე ლონლაძის რწმუნებულის გ. მიქაბერიძისა—შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაზე მისი დაპატიმრებისა გამო.

4) საჩივარი კონსტ. ზელენსკის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ალექსი მესხიშვილისა თფილ. ოლქ. სასამ. საად. გან. 1919 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, ბინის რეკვიზიციის შესახებ ქალაქის გამგეობის მიერ.

5) საჩივარი ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირი „სახალხო საქმე“-ს გამ. რწმუნებულის ს. ხუბულავა ქუთ. ოლქ. სასამ. საად. გან. 1920 წ. 25 თებერვლის გადაწყვეტილებაზე,—კავშირის გამგეობის წევრის სოკრატი კეშელავას გადაყენების შესახებ.

2 ივლისის საჯარო სხდომისთვის დანიშნულია განსახილველათ:

1) საქმე პეტროგრადის სპილენძის გასაპრტყელებელ ქარხნის საზოგადოების არშაკ ავეტის ძე ტერ-აბრამოვთან 8.000 მან. თაობაზე.

2. საქმე ალექსანდრე მაისურაძის სომხეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან 110.000 მან. თაობაზე.

## მოწოდება

„წმინდა-კეთილი გული და ზრდილობა არაა იქ, სადაც არაა გულჩვილობა და ჰუმანობა ცხოველებისადმი“.

**რესკინი.**

შინაური ცხოველები არიან მეგობარი, მუშა, დარაჯი, მასაზრდოებელი, ჭირში და ლხინში განუყრელი თანამგზავრნი ადამიანისა. ადამიანი უცხოველოდ არაფერია და არც არსებობა შეუძლია. მაგრამ ცხოველთა მდგომარეობა ეხლა მეტად ცუდია.

ჩვენს რესპუბლიკაში თვით-დედა ქალაქ თფილისში ეპიდემიური ხასიათი მიიღო ქეცმა, მუნმა და სხვა გადამდებ ავადმყოფობამ. ქეცი, მუნი, და სხვა გადამდები ავადმყოფობა მუსრს ავლებს ჩვენს ცხოველებს.

კავკასიის ფრონტის დაშლამ დაგვიტოვა ბევრი ცხენები, რომლითაც ჩვენს სახელმწიფოს შეეძლო დიდი სარგებლობის ნახვა; მაგრამ ჩვენმა ცუდათ მოვლამ და პატრონობამ, მგონი, თუ არ ვცდები, მთლად დაგვიღუპა ისინი.

ამიერ კავკასია და კერძოთ საქართველო გზა იყო დამარცხებულ გამარჯვებულ სახელმწიფოების. მიდიოდნენ ერთნი და ბრუნდებოდენ მეორენი. რას ვხედავდით? მშვენიერ და კარგად მოვლილ ცხენებს. ვერც ერთს გერმანელს, ინგლისელს ვერ დაინახავდი, რომელიც გაჰენებულ ცხენზე მჯდარიყო. ცხენი საუცხოვოდ სუფთად შენახული იყო; ჩვენი კი უსუფთაო, მოუვლელი და მათრახის ტყლაშუნით გაჯანდაკებული. მე მინახავს დაღლილი, გაოფლიანებული ცხენი ბოძზე მიკრული უპატრონოთ. ხშირი მოვლენაა ჩვენში როგორც ჯარისკაცი, ისე სხვა ჰენებით მიელალება ცხენს სწორ, აღმართ და დაღმართ გზაზე და ეს ინკვიზიცია ვუქკაცობად მიაჩნიათ ჩვენში. დაღლილი, უენო, მოკლებული მოვლა-პატრონობას, რა გასაკვირია თუ ასეთმა ველურმა მოპყრობამ გაანადგურა ეს ადამიანის საჭირო ცხოველი.

გერმანელებმა დამარცხების წინ დაგვიტოვეს მშვენივრად მოვლილი და შენახული ცხენები, რომელთაც ისეთივე ბედი ეწვია, როგორც დარჩენილ რუსის ცხენებს; ასეთივე ყოფაშია ინგლისელებისაგან ჩვენი მთავრობის მიერ შეძენილი ჯორებიც.

ქართველს არ უყვარს ცხოველების მოვლა, აქიმობა ავადმყოფობის დროს და ეს ხომ მისი ეკონომიური განადგურებაა.

საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს საქონლის მოვლა-პატრონობას და საჩქაროდ იქნას მიღებული საჭირო ზომები.

**ი. ქავთარაძე.**

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 24 ივნისს, შესდგა მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. განხილულ იქნა კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) ამხ. ლ. ბერიტაშვილის საქმის საგამომძიებლო კომისიის მოხსენების განხილვა, 3) ამხ. ელ. მახვილაძის განცხადება, 4) კოლექტივის სახსრის გაძლიერება.

პირველი კითხვა მოხსნილ იქნა, რადგანაც არ შემდგარა ტფ. კომიტეტის სხდომა. მეორე კითხვის შესახებ კრება ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „ს. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონული კოლექტივის 24 ივნისის მორიგმა სხდომამ, განიხილა რა ამხ. ლ. ბერიტაშვილის საქმის საგამომძიებლო კომისიის მოხსენება მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებების შესახებ და თვით ამხ. ლ. ბერიტაშვილის პირადი განმარტება,—ერთხმად დაადგინა: „ამხ. ლ. ბერიტაშვილს არ ჩაუდენია ბოროტ-მოქმედება, არამედ მან თავის მუშაობაში დაუშვა ზოგიერთი შეცდომები, რაზედაც კოლექტივი ამხანაგურ შენიშვნას აძლევს“.

შემდეგ კრება ისმენს ამხ. ელ. მახვილაძის სომხ. გაზ. „ბანვორი ძაინის“ დახმარების შესახებ მოხსენებას და გამოაქვს შესაფერი დადგენილება. მე-4 კითხვის შესახებ კრება ადგენს მოაწყოს დიდი სეირნობა. ამ საქმის მოსაგვარებლათ არჩეულ იქნა 3 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შევიდენ: ელ. მახვილაძისა, თ. ნიკოგოსოვისა და გ. უსეინაშვილი.

X.

## მუშათა შორის

**ქ. ზესტაფონი.** მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა პროვინციის ქალაქებში მეტად უნუგეშოა. სატარიფო პალატის დადგენილებები ჯამაგირის მომატების შესახებ თუმცა ჩვენზედაც გავრცელდა, მაგრამ პროვინციის მუშებს სისტემატიურათ არ ეძლევათ მუშათა მაგიდიდან სურსათი და თვით სურსათ-სანოვაგის ფასები არ ჩამოუვარდება თფილისში არსებულ ფასებს. მაგალითად, ქ. ზესტაფონში ფუთი სიმინდი ფასობს 1400 მანეთამდე (და ისიც არ იშოვება). და ყოველ დღიურათ მოსალოდნელია ფასების აწევა.

შორაპნის მაზრის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა მიიღო ზომები, რათა მუშათა მაგიდას დაეკმაყოფილებინა სურსათ-სანოვაგით ზესტაფონის მუშა-მოსამსახურენი, რაც კიდევაც შესძლეს. ივნისის თვისათვის მიიღეს პური, ხოლო ზესტაფონის რაიონის კოოპერატივთა კავშირის მოსამსახურეებს კი უარი უთხრეს მუშათა მაგიდაში სურსათის მიცემაზედ. მე ვერ წარმომიდგენია თუ რათ უნდა იყოს ასეთი განსხვავება მუშა-მოსამსახურეთა შორის, ეს მით უმეტეს, რომ როგორც სარაიონო კავშირები, ისე კოოპერატივები დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში.

ჩვენ მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს მიიღონ ზომები, რათა ჩვენც გათანასწორებული ვიქმნეთ სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებთან.

**ალ. გველესიანი.**

## პროვინცია

**ხაბუმის თემი** (ზუგდ. მაზ.). თუმცა წელს დაგვიანებით მიაწოდა მაზრის ერობამ აბრეშუმის ჭიის თესლი ხალხს, მაგრამ მეაბრეშუმეები დიდ სიამოვნებით შეხვდენ ამ კეთილ საქმეს და ძალიან ხალისიანად შეუდგენ მეაბრეშუმობას. იშვიათი ენერგიით შეუდგნენ დედა-კაცები ჭიის მოვლას. მაგრამ სამწუხაროთ, იმედი არ გაუმართლდათ და უმრავლესობა უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო წრევანდელმა აბრეშუმის მოსავალმა. მე-3 და მე-4 კანის ხანებში თითქმის 70—80% გაუფუჭდათ, რაც მაშინ გადარჩა, უკანასკნელ სიცხიან დღეებმა ძალზე დააზიანა.

ყოველი მეაბრეშუმე დიდს იმედს ამყარებდა მთავრობის მიერ უცხოეთში შეკვეთილ აბრეშუმის ჭიის თესლზე, მაგრამ ჩემის დაკვირვებით აქ ადგილობრივმა ჰაერმა იქონია ასეთი ცუდი გავლენა აბრეშუმის ჭიაზე, ვინაიდან საფრანგეთისა და საქართველოს ბუნების შორის დიდი განსხვავებაა, მართალია საფრანგეთიც თბილი ქვეყანაა დასავლეთ ევროპაში, მაგრამ აქ, ჩვენში გაცილებით თბილა და სინესტეა, რაც დიდათ მოქმედობს არამც თუ უსუსურ ჭიაზე, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზედაც კი.

ადგილობრივ თესლის აბრეშუმის მოსავალი ყველგან რიგიანია; თანაც იშვიათია ისეთი ოჯახის პატრონი დედა-კაცი, რომელსაც რამოდენიმე მისხალი თესლი არ ჰქონოდა.

წელს ჩვენში ყანის მუშაობას კარგი პირი უჩანს: დიდ-ძალი უსარგებლო ტყეები გაიჩეხა საყანეთ, დიდის ხალისით მუშაობს ყანის მუშაც და ჯერ-ჯერობით მოსავალი იმედს იძლევა. მაგრამ ეს წვეთია ზღვაში ჩვენი დამშეული ხალხისათვის. გლეხმა, რაც უნდა დიდი მოსავალი მოიწიოს პრიმიტიული წესით დამუშავებული ადგილებიდან, მაინც ვერ დაიკმაყოფილებს ყველა თავის საჭიროებებს.

**ერასტო კაჭარავა.**

**ბაღლები** (გურია). ბაღლების მცხოვრებნი სწავლა-განათლებას ძალიან ეტანებიან. ისინი არ ზოგვენ უკანასკნელ გროშებს სკოლის შესანახათ და მასწავლებელთა ბინების დასაქირავებლათ. გარდა ამ დაბალი სკოლისა აქ არსებობს ჯურუყვეთის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი. შენობა ამ სკოლას მეტად კარგი აქვს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გურიაში სხვა ამ ტიპის სკოლას ასეთი შენობა არა აქვს; ეზო ლამაზათ არის მორთული ნაძვების ხეებით, მდებარეობაც საუცხოვოა.

მაგრამ მასწავლებლების მხრივ ეს სასწავლებელი უნუგეშო მდგომარეობაშია. ამ სკოლის გამგე ალექსანდრე შავგულიძე ვერ არის თავის სიმაღლეზე. მასწავლებელი ქალი—შურა ლორთქიფანიძის ასული ვერ ამართლებს მასწავლებლის დანიშნულებას. ამას ხედავენ მოწაფეებიც, და ეს მეტათ ცუდ გავლენას ახდენსო.

გარდა ამისა შებრძანდით ჩვენი სკოლის შენობაში და შიგ ნახავთ კრუხს და წიწილებს, რომლებიც სვრიან და აფუჭებენ სკოლის სკამებს. განა ეს არის განვითარება?

საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება სკოლის მდგომარეობას, მოაგონოს მასწავლებლებს თავის მოვალეობა და მიიღონ შესაფერი ზომები სკოლის სათანადო-სიმაღლეზე ასაყვანათ. დატოვება არსებული მდგომარეობის შეუძლებელია.

**მეთვალყურე.**

**რაჭა.** მთელი რაჭის მაზრა ამ ჟამად დიდს გაჭირვებას განიცდის, შიმშილის გამო. ხალხი ყიდის რაც კი მოეპოვება—ხარს, ძროხას, რათა ამით შიმშილს გადაარჩინოს ცოლშვილი. მთელი მაზრა დიდ იმედებს ამყარებდა მამისონის უღელტეხილიდან გადმოტანილ სიმინდზე. იქ მიდიოდენ მცხოვრებნი, მიჰქონდათ ფართალი და სცვლიდენ სიმინდზე, იქიდან გადმოტანილი სიმინდი იყიდებოდა—უკანასკნელ ხანებში ქ. ონში ფუთი 400 მანეთად; ხოლო როდესაც ოსებმა გზა დაკეტეს და სიმინდი აღარ იშოვება,—ფუთი 900 მანეთი გახდა და არც იშოვება. იყო შემთხვევა, რომ როდესაც რაჭველი გლეხები გადავიდენ იქ, ოსებმა დააკავეს და ფართალი რაც ჰქონდათ, იქ დაატოვებინეს. როცა ერთი კვირის შემდეგ ყველანი გამოიპარნენ,—ერთი მათგანი სამი დღის შემდეგ ისევ წავიდა უკან და როცა შეეკითხეთ, რატომ მიდიხარ, არ გეშინიან, რომ ისევ დაგიჭირონ-თქვა,—მან გვიპასუხა: ცოლშვილის ასეთ უბედურობის ყურებას და საცოდავობას ის სჯობია, რომ იქ დამიჭირონ, თვალით მაინც აღარ დავინახავ ამ გაჭირვებასო.

ხალხი დიდის იმედით შეჰყურებს აგრეთვე იქ საზღვრებზე მდგომ გვარდიას და ჯარს, რომ იქნება გახსნან გზა და საშუალება მოგვეცესო; მაგრამ გზის გახსნა ასე ადვილიც არ არის, რადგანაც ჩვენ ისედაც ბევრი ფრონტები გაგვიჩნდა და მაშასადამე ხალხი ისევ იმ მდგომარეობაში დარჩება, როგორც დღემდე იყო, თუ მთავრობამ მეტი ყურადღება არ მიაქცია რაჭას და სიმინდით არ დააკმაყოფილა. მართალია, მთავრობამ გადმოგზავნა რამოდენიმე ვაგონი სიმინდი და ერობაც რითაც შეუძლიან ეხმარება ხალხს, მაგრამ ეს დახმარება წვეთი იქნება ზღვაში.

რაჭას ბევრი ყურადღება უნდა მიექცეს, მაშინ იგი დარწმუნდება, რომ მთავრობა მასთან არის ყოველ გაჭირვების დროს და აღარც იმ ბნელი ძალების აგიტაციის ექნება ადგილი, რომელსაც ეხლა აქვს ხოლმე. რაჭველები მშრომელი ხალხია და სხვის შეწუხებას თავის თავის შეწუხებას არჩევს.

აქ დგას გვარდია, რომლის მიზანია საზღვრების დაცვა. ჯარში და გვარდიაში სულიერი განწყობილება კარგია, ყველა სიხარულით მიემგზავრება ბრძოლის ველზე, მათში ვერ შეამჩნევთ შიშს და მწუხარებას; მათ შეგნებული აქვთ, თუ რისთვის იბრძვიან და ამიტომ თავს არ იზოგავენ. აგრეთვე სასიხარულოა, რომ ქუთაისის საოლქო შტაბის თავმჯდომარე კ. ქუმბურიძე და აგრეთვე შტაბის წევრები დიდ იმედებს აძლევენ გვარდიას, რომელნიც მათთან ერთად არიან გაჭირვების და დალხინების დროს. დღე და ღამე არ ისვენებენ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ადგილობრივი ხალხიც დიდ თანაგრძნობით ხვდება მხედრობას და ეხმარება მას.

**სანდრო ჯანტეველი.**

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე დღეიდან აღარ ვითვლები საქართველოს კომუნისტთა (ბოლშევიკების) პარტიის წევრათ.

**ყარამან ივანეს ძე ქვითელია.**

ამხ. რედაქტორო! მე აწ აღარ ვითვლები საქართველოში მომქმედ სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის წევრათ, რასაც გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ.

**ხარიტონ ამბაკოს ძე ზაქარეიშვილი.**

ნება გვებოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. იასონ მეტრეველს, რომელმაც ჩვენს წრეს 27 ივნისს, საგარეჯოში ყოფნის დროს დახმარება აღმოუჩინა და დიდათ შეუწყო ხელი წარმოდგენის გამართვაში.

**დრამატიულ წრის „არმაზის“ გამგეობა.**

გთხოვთ ნება ნება მოვგცეთ ქ. ლანჩხუთის ნათლის-მცემლის უბნის სამკითხველოს გამგეობას გამოუცხადოთ მადლობა თქვენი გაზეთის საშუალებით იმ პირით, რომლებმაც წვლილი გაიღეს სამკითხველოს სასარგებლოთ: 1) დათა ვადაჭკორიას, რომელმაც თავის შვილის ადერბეიჯანის ომში მოკლულ გვარდიელ ვალიკოს ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირა 500 მანეთი; 2) ალექსანდრე ბელეშაძეს—იმავე ხსნოვის აღსანიშნავათ 500 მანეთი; 3) იოსებ თოხაძეს—სიკო ივანეს ძე ცინცაძის ხსნოვის აღსანიშნავათ 300 მანეთი.

ქ. ლანჩხუთის ნათლის-მცემლის უბნის სამკითხველოს გამგეობის დავალებით. **ი. თ—ძე.**

„შოთა რუსთაველის“ სახელობაზე აგებულ ღანიძის სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის პატივცემულთ: ნიკოლოზ გრიგოლიას, ა. ბუბუტეიშვილს, თ. კოპალეიშვილს, ი. ფოტავის, ა. ბახტაძეს, კალენიკე რობაქიძეს, ვერიჩკა გოლაშვილს, ელენა რობაქიძისას, დ. ბეკურაშვილს, ე. კალმახელიძეს, მ. გოცაძეს, ს. თოზაშვილს, ბ. ბიძინაშვილს, დ. ოძელაშვილს, გ. მამუჩაშვილს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ღანიძის მცხოვრებთა ინტელექტუალურ გათვითცნობიერების სალაროში.

**სამ. წ. შ. ტერელაძე.**

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ.ბ. ი. იმედაშვილს, ვ. რუხაძეს, ი. გრიშაშვილს, გ. ქუჩიშვილს, ხ. ვარდოშვილს, გ. შინატეხელს, გ. ალავერდოვს, ნ. ნოშრევანიძეს, გ. გედევანიშვილს, ს. სარჯველაძეს ასულს და გ. გურძემელს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩემი ქმრის განსვენებულ „იასე რაჭველის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საღამოში და 15 ათასი მანეთი წმინდა შემოსავალი გადმომცეს მისი ნაწარმოების გამოსაცემათ.

**ა. რაჭველი.**


## განცხადებანი

## დავკარგე

პასპორტი სოფ. რუისის კომისრის მიერ 1919 წ. მოცემული ერთი წლის ვადით, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. **ალექსი სიმონის ძე ელიაშვილი.** (2115—1—1)

**დამაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი**

## გიმნაზიის

ი. მ. მაჩაიძე ილებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. პ. დ. სამიწოსზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე განმეორებითი „შემოდგომის“: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით“.

(2021 8—7)

## სალეწი

ოთხ ძალიანი „ელვორტი“, სანიავებელი და ცხენის მორთულობა იყიდება ტეხნიკურ კანტორაში „კატიტოვი“. რუსთაველის პრ. 27.

(2107 3—1)

1 ივნისს სახლიდან წავიდა 16 წლის ყმაწვილი

## გიორგი იოსების ძე გოტკოველი

მას შემდეგ ვერაფერი გავიგე მისი, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: დიდუბე, შერემეტიევის ქ. № 44, იოსებ ბოტკოველს. (2108 1—1)

## იყიდება
## საკერავი მანქანა-შკაფი

**ზინგერის სისტემისა.**

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

**დოქტორი**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1790—თ.)

**ექიმი**

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914, ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო. გოსპიტალი—ექიმი**

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (კოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავადმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკიელი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საყუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი **ზ. პ. ალასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.

1951—თ.

**ექიმი**

## გენრიხ ისაიას ძე პოლოხი

(ქუთაისიდან)

ლებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

**ექიმი**

## დ. პ. ჯაპარიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

**ექიმი**

## გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

**ექიმი**

## ნ. ლ. ტერიაშვილი

იღებს ქალურ, საზებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

**ექიმი**

## ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

## ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

**ექიმი**

## პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

**ექიმი**

## სოლომონ ისაიას ძე პოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ზელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

**ექიმი**

## ე. გ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 6—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

**ექიმი**

## ნ. მ. ბარძიმაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.

(უ. 25—3)

## ცეკვის სკოლა ი. ა. როზენბერგისა

**27 წ. არსებობს. 27 წ. არსებობს.**

დაიწყო ზაფხულის სეზონი 29 ივნისიდან. სპეციალურად აზიური, ევროპიული და საბალეტო ცეკვისა. კარგათ სწავლებისათვის ვიძლევი სრულ გარანტიას. მიიღება ბავშვები 5 წლიდან დაწყებული. საერთო ცეკვა: კვირაობით სამშაბათობით და პარასკეობით საღ. $7\frac{1}{2}$ ს. 10 საათ. მიღება ყოველ დღე: დილის 10 ს. საღ. 7 ს. მიხეილის პრ. № 105. სასტუმრო „ვეტცელის გვერდით. (2066 3—3)

## აგურის ქარხანა გოფმანის ღუმელით

რომელიც იმყოფება 7 სამილიციო უბანში, რკ. გზ. ლიანდაგის გადაღმა, არსენალის ახლოს, საკუთარ მიწაზე ყოველნაირი იარაღებით და მოწყობილობით

## იყიდება

ქარხანასთან არის ორ სართულიანი სახლი, იქვე ბინა 4 ოთახით, სამზარეულოთი. ფასები იკითხეთ: ქარხნის პატრონთან, დიდი მთავრის ქ. № 79, ბინა 1. დილის 8—11 ს. და საღ. 5—7 ს. (2075 2—2)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.